



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო

რადიო მონეტორინგის შესახებ ტექნიკური  
რეგლამენტის  
რეგულირების გეგმავლენის შეფასება

რადიო მოწყობილობის შესახებ ტექნიკური  
რეგლამენტის  
რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტროს მიერ.

*ავტორი: თეა ლოლაძე*

ნოემბერი, 2021

## სარჩევი

აკრონიმები და აბრევიატურები.....	5
შემაჯამებელი მიმოხილვა .....	6
I. პრობლემის განსაზღვრა.....	10
პოლიტიკის კონტექსტი.....	10
რადიო მოწყობილობის შესახებ დირექტივა და ევროპული პრაქტიკა .....	10
პრობლემის იდენტიფიცირება .....	14
მონაცემთა ანალიზი: არსებული ტენდენციები.....	21
2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები .....	29
II. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან.....	31
III. მიზნები .....	39
ზოგადი მიზანი.....	39
კონკრეტული და საოპერაციო მიზნები .....	39
IV. პოლიტიკის ალტერნატივები.....	40
V. ზეგავლენის შეფასება.....	46
ხარჯ-სარგებლის ანალიზი .....	46
მრავალკრიტერიუმის ანალიზი .....	52
VI. ალტერნატივების შედარება .....	56
VII. მონიტორინგი და შეფასება .....	59
დანართები.....	60

## დიაგრამები

დიაგრამა 1. რადიო მოწყობილობის ექსპორტ-იმპორტი .....	21
დიაგრამა 2. იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2020 წ. ....	22
დიაგრამა 3. იმპორტის სტრუქტურა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.....	23
დიაგრამა 4. იმპორტირებული სატელეფონო აპარატების რაოდენობა და საშუალო ღირებულება .....	24
დიაგრამა 5. რადიო მოწყობილობის ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი) .....	26
დიაგრამა 6. რადიო მოწყობილობის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით .....	27
დიაგრამა 7. მრავალკრიტერიუმანი გადაწყვეტილების მიღების ანალიზი (MCDM).....	52

## ცხრილები

ცხრილი 1. ზეგავლენის შედეგები თვისებრივი ანალიზის მიხედვით .....	9
ცხრილი 2. 2030 მდგრადი განვითარების მიზნები .....	30
ცხრილი 3. დაინტერესებულ მხარეთა ინტერესის/ზეგავლენის რუკა .....	31
ცხრილი 4. რადიო აპარატურის იმპორტიორები და რეალიზატორები .....	33
ცხრილი 5. პირველი ალტერნატივის წმინდა ხარჯ-სარგებელი (ათასი ლარი) .....	50
ცხრილი 6. თვისებრივი ანალიზის შედეგი .....	55
ცხრილი 7: ალტერნატივების ზეგავლენის შეჯამება .....	57
ცხრილი 8. ზედამხედველი ორგანოს ადმინისტრაციული ხარჯები.....	60
ცხრილი 9: პოლიტიკის ამოცანების რანჟირება დაწყვილებული შედარებითი ანალიზით ...	61

## აკრონიმები და აბრევიატურები

<b>საქსტატი</b>	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
<b>შშო</b>	შესაბამისობის შემფასებელი ორგანო
<b>CBA</b>	ხარჯ-სარგებლის ანალიზი
<b>CE</b>	ევროკავშირის ჰარმონიზებული სტანდარტები
<b>EMF</b>	ელექტრომაგნიტური ველები
<b>GAC</b>	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
<b>GEOSTM</b>	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
<b>MSA</b>	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო
<b>NPV</b>	წმინდა მიმდინარე ღირებულება
<b>OECD</b>	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
<b>RED</b>	რადიო მოწყობილობის შესახებ დირექტივა
<b>SCM</b>	სტანდარტული ხარჯები მოდელი
<b>UN</b>	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
<b>WHO</b>	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

## შემაჯამებელი მიმოხილვა

რადიო მოწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიღების საჭიროება განპირობებულია ევროპის კავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე.

### კვლევის მიზნები

წინამდებარე კვლევის მიზანია მოახდინოს პოლიტიკის ზეგავლენის შეფასება (IA), კერძოდ:

- გაანალიზოს კვლევის პროცესში განსაზღვრული პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტები, როგორც მარეგულირებელი, ასევე, არა მარეგულირებელი მიდგომა;
- შეაფასოს უნდა იყოს თუ არა ინტეგრირებული უსაფრთხოების სტანდარტული ნორმების მინიმალური დონე რადიო აღჭურვილობის დირექტივაში 2014/53/EU (RED);
- გაანალიზოს სხვადასხვა ვარიანტებთან დაკავშირებული ხარჯები, სარგებელი და მათი მოსალოდნელი ზეგავლენა.

### მეთოდოლოგიური მიდგომა

კვლევა განხორციელდა 2021 წლის ივლისიდან 2021 წლის ოქტომბრის პერიოდში. მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები იყო:

- **სამაგიდო კვლევა** - განხორციელდა ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობისა და მონაცემებთან დაკავშირებული ფართო ლიტერატურის შეფასება;
- **ინტერვიუები** - 10-ზე მეტი ინტერვიუ ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, მათ შორის რადიო აპარატურის ადგილობრივ მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან, ეკონომიკური ოპერატორებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან;
- **მონაცემთა ანალიზი** - ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზდა და შეფასდა შემოთავაზებული პოლიტიკის მოსალოდნელი ზეგავლენა, ასევე, შეფასდა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული რადიო მოწყობილობის მწარმოებლებთან და იმპორტიორებთან დაკავშირებული ნორმები, კერძოდ, ისეთი ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებები, როგორცაა, მწარმოებელი, ავტორიზებული წარმომადგენელი, იმპორტიორი და დისტრიბუტორი.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ისეთი პირობების შემოღება, რომლის შედეგად მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი რადიო მოწყობილობა უსაფრთხო იქნება როგორც ადამიანის, ასევე, ცხოველების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

დღეს უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსებას და თავისუფალი მიმოქცევის ხელშეწყობას არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“. ამასთან, სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გამოქვეყნებული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში არსებული პროდუქტის ბაზარზე განთავსება ნებადართულია. ასევე, საქართველოს მთავრობის N50 დადგენილებით განსაზღვრულია იმ ქვეყნების სია, რომელთა ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტები საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაიშვება.

კვლევაში დეტალურად გაანალიზდა რადიო მოწყობილობის იმპორტის სტრუქტურა და იმპორტის წილი ადგილობრივ მოხმარებაში. 2020 წელს რადიო მოწყობილობის იმპორტმა 227,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტმა - 7,0 მლნ. აშშ დოლარი. ქვეყანაში რამდენიმე მსხვილი რადიო მოწყობილობის იმპორტიორი კომპანია ოპერირებს, რომლებიც ასევე ახორციელებენ პროდუქციის ექსპორტსაც. რადიო მოწყობილობის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა არაბთა გაერთიანებული საამიროები. 2020 წლის მონაცემებით არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან იმპორტირებულმა რადიო მოწყობილობის ღირებულებამ 68,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც რადიო მოწყობილობის მთლიანი იმპორტის 30%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს რადიო მოწყობილობის სასაქონლო ჯგუფში უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციას განეკუთვნება ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსაფრთხო ქსელებისთვის განკუთვნილი სატელეფონო აპარატები, რომლის იმპორტმა 128,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანად იმპორტირებული რადიო მოწყობილობის 56.3%-ს შეადგენს. 2020 წელს იმპორტის მოცულობამ, იმ ქვეყნებიდან, საიდანაც შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტი საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაიშვება, რადიო მოწყობილობის

მთლიანი იმპორტის 24.6% და ნომინალში 56,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციას ძირითადად „CE ნიშანდება“ აქვს, რითაც მწარმოებელი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაზე მიუთითებს.

დაინტერესებული მხარეების მიერ იდენტიფიცირებული იქნა ის ძირითადი პრობლემები, რაც ტექნიკური რეგლამენტის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამასთან, კონსულტაციების საფუძველზე ასევე, განისაზღვრა ზოგადი და კონკრეტული მიზნები. პოლიტიკის ზოგადი მიზანია ქვეყნის ბაზარზე ისეთი რადიო მოწყობილობის განთავსება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაიცავს პირთა საკუთრებას და გარემოს მავნე ზეგავლენისგან. შესაბამისად, ანგარიშში განისაზღვრა კონკრეტული მიზნები და შემუშავდა პოლიტიკის ვარიანტები.

კვლევაში მიმოხილულია ის ალტერნატივები, რომელიც საჯარო კომუნიკაციის ფარგლებში შემოთავაზებული იქნა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ, კერძოდ, საჯარო კომუნიკაციის ფარგლებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, ტექნიკური რეგლამენტის პირველად ვერსიაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის თანახმად მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური ოპერატორებისთვის შესაბამისობის დანახარჯი.

საბაზისო სცენართან მიმართებით შეფასებული იქნა ორი ალტერნატივა. პოლიტიკის პირველი ალტერნატივა ითვალისწინებს რადიო მოწყობილობის ტექნიკური რეგლამენტის მიღებას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია №2014/53/EC დირექტივასთან, ხოლო მეორე ალტერნატივა გულისხმობს ტექნიკური რეგლამენტის არასავალდებულო სახით შემოღებას.

იდენტიფიცირებული პოლიტიკის ვარიანტების ზეგავლენა შედარდა საბაზისო სცენართან. ალტერნატივების ზეგავლენის შეფასების მიზნით, გამოყენებული იქნა სტანდარტული ხარჯების მოდელი, ხოლო თვისებრივი შეფასება მომზადდა მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის საშუალებით. სტანდარტული ხარჯების ანალიზის ნაწილში შეფასდა პირველი ალტერნატივის მოსალოდნელი სარგებელი და დანახარჯი მომდევნო 8 წლის პერიოდში, კერძოდ, 2024-2031 წლებისთვის (შენიშვნა: ახალი რეგულაციის ამოქმედება 2024 წლიდან არის დაგეგმილი). ზედამხედველი ორგანოს ადმინისტრაციული მომსახურების წმინდა მიმდინარე ხარჯი 8-წლიან პერიოდში დაახლოებით 952.7 ათას ლარს გაუტოლდება, ხოლო შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ ლაბორატორიის აკრედიტაციის და ლაბორატორიის



მონიტორინგიდან მიღებულ შემოსავალი, ასევე, ზედამხედველი ორგანოში დასაქმებულთა მიერ საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული სარგებელი - 130.2 ათას ლარს.

ასევე, შეფასებული იქნა ბიზნესის შესაბამისობის დანახარჯები. მოცემული კვლევის მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის ნაწილში კი პოლიტიკის ორივე ალტერნატივა შეფასდა ეფექტიანობის, ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და განხორციელების მიხედვით. კრიტერიუმების წონები დადგინდა ანალიტიკური იერარქიის პროცესის (AHP) მეთოდის გამოყენებით. ბოლოს შეჯამდა და ერთმანეთს შედარდა ალტერნატივების ზეგავლენა. თვისებრივი ანალიზის შედეგად, პირველ ალტერნატივას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს მეორე ალტერნატივასთან შედარებით ეფექტიანობის, სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ორივე ალტერნატივის თვისებრივი ანალიზის შედეგები.

**ცხრილი 1. ზეგავლენის შედეგები თვისებრივი ანალიზის მიხედვით**

	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
ეფექტიანობა	+++++	0
ეკონომიკური	---	0
სოციალური	++++	++
გარემოსდაცვითი	+++++	0
განხორციელებადობა	+++	++++

## I. პრობლემის განსაზღვრა

### პოლიტიკის კონტექსტი

რადიო მოწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიღების საჭიროება განპირობებულია ევროპის კავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მე-4 კარის მე-3 თავით – „ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება“ – განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე.

კერძოდ, აღნიშნული თავის 47-ე მუხლი ითვალისწინებს ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების დაახლოებას ევროპულ დირექტივებთან. რადიო მოწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიღება გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2014/53/EC (Radio Equipment Directive - RED) დირექტივის დაახლოებას<sup>1</sup>.

### რადიო მოწყობილობის შესახებ დირექტივა და ევროპული პრაქტიკა

ევროპის შიდა ბაზარი ხალხსა და ბიზნესს აძლევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილებისა და ვაჭრობის საშუალებას. ის ქმნის კონკურენტულ გარემოს და ხელს უწყობს, რომ მომხმარებელი იყოს დაცული საკუთარ ქვეყანაში, საზღვარგარეთ ან/და ინტერნეტით ვაჭრობისას.

ერთიანი ბაზრის კანონმდებლობის მიზანია ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული პროდუქტი აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს და ეს პროდუქტი დაშვებულ იქნას ევროკავშირის ბაზარზე სავაჭრო ბარიერების გარეშე, მინიმალური ადმინისტრაციული ტვირთით. საქონლისთვის ერთიანი ბაზარზე განთავსებისთვის უმნიშვნელოვანესია შემდეგი ელემენტები:

- **სტანდარტები** - სტანდარტები განსაზღვრავს პროდუქტის ტექნიკურ ან ხარისხობრივ მოთხოვნებს, წარმოების პროცესს, სერვისებს ან სატესტო მეთოდებს.

---

<sup>1</sup> წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: იხ.ბმული:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3631267?publication=0>

სტანდარტიზაცია არის ხერხი, რომლის მიხედვითაც საწარმო ქმნის პროდუქტს და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებასა და ფუნქციონალურ თავსებადობას;

- **შესაბამისობის შეფასება** - შესაბამისობის შეფასების პროცედურა ტარდება პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე განთავსებამდე. საჭიროა დამტკიცება იმისა, რომ პროდუქტი შეესაბამება ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და ასევე, არის ტესტირებული, შემოწმებული და სერტიფიცირებული;

- **აკრედიტაცია** - აკრედიტაციის მიზანია უზრუნველყოს, რომ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს (ლაბორატორიებს, ინსპექტირების ან სერტიფიცირების ორგანოებს) ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობის შესრულების ტექნიკური შესაძლებლობა. რეგულირებად სექტორებსა და მოხალისეთა სფეროებში გამოყენებით, აკრედიტაცია ზრდის შესაბამისობის შეფასების ნდობის ხარისხს. ის აძლიერებს პროდუქტების, სერვისების, სისტემებისა და ორგანოების ურთიერთაღიარებას ევროკავშირის ფარგლებში;

- **ბაზრის ზედამხედველობა** - საბაზრო ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ არასაკვებმა პროდუქტმა ევროკავშირის ბაზარზე არ შეუქმნას საფრთხე ევროპელ მომხმარებლებს. ასევე, უზრუნველყოფს სხვა საჯარო ინტერესის დაცვას, როგორცაა გარემო, უსაფრთხოება და სამართლიანობა სავაჭრო სფეროში. ბაზრის ზედამხედველობამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამო პროდუქტის მიმოქცევის გამოთხოვა/ამოღება ან/და მათი შესაბამისობაში მოყვანის სანქციები;

- **„CE ნიშანდება“** – შესაბამისობის ნიშანი, რომელიც უთითებს რომ პროდუქტი შეესაბამება ევროკავშირის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს. „CE ნიშანდება“ დაინერგა ევროპის ტექნიკური ჰარმონიზაციის კანონმდებლობის შესაბამისად. იგი სავალდებულოა ყველა პროდუქტისთვის, რომელსაც ეხება ერთი ან მეტი ევროდირექტივა და უზრუნველყოფს ამ პროდუქტის თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირში. პროდუქტზე „CE ნიშანდების“ უფლების მოსაპოვებლად მწარმოებლებმა უნდა ჩაატარონ ან ჩატარებული უნდა ჰქონდეთ კონტროლი და ტესტირება იმის დასამტკიცებლად, რომ პროდუქცია შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს, რომლებიც მეტწილად ეხება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, როგორც ეს შესაბამის დირექტივაშია მითითებული. CE ნიშანდებასთან დაკავშირებული დირექტივებით გათვალისწინებული პროდუქტების ბაზარზე განთავსება „CE ნიშანდების“ გარეშე დაუშვებელია. მარკირების შემოწმებისთვის პროდუქტის უსაფრთხოების მეთვალყურეობის ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ შესაბამისობის დეკლარაცია და მწარმოებლის მიერ დადგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რათა დაადასტურონ პროდუქტის

ტექნიკური შესაბამისობა. მას შემდეგ, რაც პროდუქტს ექნება „CE ნიშანდება“, იგი შეიძლება თავისუფლად გაიშვას ერთიან ბაზარზე.

ევროკავშირის ბაზარი ითვალისწინებს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას ჰარმონიზებულ და არაჰარმონიზებულ სექტორებში. კერძოდ, ბევრი პროდუქცია ექვემდებარება ჰარმონიზებულ წესებს, რომელიც იცავს მომხმარებელს, საზოგადო ჯანმრთელობასა და გარემოს. ჰარმონიზებული წესები გამორიცხავს განსხვავებული ეროვნული წესების მიღებას და უზრუნველყოფს პროდუქციის თავისუფალ მიმოქცევას ევროკავშირის ფარგლებში. ევროკავშირის მასშტაბით ჰარმონიზებული სექტორები ექვემდებარება საერთო წესებს. სექტორებში, როგორცაა ელექტრონული და ელექტროაღჭურვილობა, სამანქანო მოწყობილობები, სამედიცინო მოწყობილობები და სხვ. ევროკავშირის კანონმდებლობა შეზღუდულია მხოლოდ ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მნიშვნელოვან მოთხოვნებზე. ამ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, მწარმოებლებს შესაძლებლობა აქვთ ნებაყოფლობით გამოიყენონ სტანდარტები ან სხვა ტექნიკური სპეციფიკაციები. სტანდარტები უზრუნველყოფს ფუნქციონალურ თავსებადობასა და უსაფრთხოებას, ხარჯების შემცირებას, ხელს უწყობს კომპანიების ინტეგრაციას ვაჭრობის ჯაჭვში. ტექნიკური ჰარმონიზაცია ეფექტიანია დირექტივებისა და რეგულაციების შედეგად, რომელთა ნაწილიც „CE ნიშანდებას“ სავალდებულოს ხდის. აღნიშნული მარკირებით ბიზნესი ადასტურებს, რომ მისი საქონელი შეესაბამება საკანონმდებლო დებულებებს, კერძოდ, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნაწილში. ეს მარკირება, რომელიც სავალდებულოა გარკვეული საქონლისათვის, ნიშნავს, რომ მას შეუძლია თავისუფლად გადაადგილება მთელ ევროკავშირში<sup>2</sup>.

ჰარმონიზებული წესების ფარგლებში, ევროკავშირში მოქმედებს რადიო მოწყობილობის შესახებ დირექტივა (RED) 2014/53/EU, რომელიც შეესაბამება ახალ საკანონმდებლო ჩარჩოს (NLF). აღნიშნულმა დირექტივამ შეცვალა დირექტივა რადიო მოწყობილობისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების და მათი შესაბამისობის ორმხრივი აღიარების შესახებ (R&TTED) 1999/5/EG. დირექტივა (RED) ძალაში 2016 წლის 13 ივნისს შევიდა, თუმცა მინიჭებული გარდამავალი პერიოდის გამო, ორივე დირექტივა მოქმედი იყო 2017 წლის 12 ივნისამდე. 2017 წლის 13 ივნისიდან, ყველა ის პროდუქტი, რომელიც 2014/53/EU RED დირექტივის ფარგლებში ექცევა, უნდა აკმაყოფილებდეს დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

---

<sup>2</sup> თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან; იხ. ბმული: <http://www.dcfta.gov.ge/ge/dcfta-for-business/internal-market>

დირექტივა აწესებს საკანონმდებლო მოთხოვნებს, რაც ეხება მომხმარებელთა უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას, ასევე, რადიო აპარატურის ეფექტურ გამოყენებას და განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე.

აღნიშნული დირექტივა ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული რადიო აპარატურისთვის აწესებს ზოგად მოთხოვნებს. კერძოდ, პროდუქტის უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, დირექტივა ადგენს ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც დირექტივის ფარგლებში ვრცელდება ყველა რადიო აპარატურაზე. აღნიშნულის თანახმად, პროდუქტი არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს როგორც ადამიანის, ასევე, ცხოველების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ელექტრომაგნიტური თავსებადობის სათანადო დონე და დაცული იქნას რადიოსიხშიური სპექტრის ეფექტური გამოყენება საზიანო ჩარევის თავიდან აცილების მიზნით.

რადიო მოწყობილობის შესახებ დირექტივის (RED) 2014/53/EU ძირითადი დებულებები ითვალისწინებს საერთო განმარტებების შემოღებას და პასუხისმგებლობების განსაზღვრას ეკონომიკური ოპერატორებისთვის, როგორცაა მწარმოებლები, ავტორიზებული წარმომადგენლები, იმპორტიორები და დისტრიბუტორები. დირექტივა, ასევე განმარტავს, თუ რა უნდა მოიმოქმედონ ეკონომიკურმა ოპერატორებმა პროდუქტის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ბაზარზე სწრაფად იზრდება რადიო აპარატურის რაოდენობა და ეს ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რაც 2030 წლისთვის ევროკავშირში შეფასებულია 7.43 მილიარდი მოწყობილობით<sup>3</sup>. სწორედ ამიტომ, რადიო აპარატურასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ნორმების და განსაკუთრებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მომხმარებელთა დასაცავად უსაფრთხოების მინიმალური ფუნქციონალების არარსებობა, როგორცაა ჩიპებში ავტორიზაციის ან დაშიფვრის შესაძლებლობები, ასევე, ინტერნეტის საშუალებით პერსონალური მონაცემების უსაფრთხო გადაცემის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით პრობლემურია სამომხმარებლო მოწყობილობებსა და ინტერნეტთან დაკავშირებულ რადიო აპარატურაში, რადგან ასეთ მოწყობილობებს უსაფრთხოების შედარებით დაბალი დონე აქვს. სწორედ უსაფრთხოების დაბალი დონე შესაძლოა ბოროტად იქნას

---

<sup>3</sup> ევროკომისია „Impact Assessment on Increased Protection of Internet-Connected Radio Equipment and Wearable Radio Equipment“; იხ. ბმული: <https://ec.europa.eu/docsroom/documents/40763>

გამოყენებული და გამოიწვიოს არასანქცირებული წვდომა მოწყობილობის ადგილმდებარეობის ან მისი მახასიათებლების შესახებ.

ქვეყნებში, რომლებმაც რადიო მოწყობილობის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (RED - radio equipment directive) იმპლემენტაცია მოახდინეს, აღნიშნული დირექტივის მოთხოვნების შესრულების საზედამხედველო ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოსთან მიმართებით განსხვავებული მიდგომები აირჩიეს.

ბელგიაში აღნიშნულ სეგმენტზე ზედამხედველობას ახორციელებს Belgian Institute for Postal Services and Telecommunications (bipt), ბულგარეთში - Ministry of Economy, ჩეხეთში - The Czech Trade Inspection Authority, დანიაში - National IT and Telecom Agency, გერმანიაში - Federal Network Agency, ესტონეთში - Technical Surveillance Authority, ირლანდიაში - Commission for Telecommunications Regulation, საბერძნეთში - Hellenic Telecommunications & Post Commission, კვიპროსში - Department of Electronic Communications, ლატვიაში - Consumer Rights Protection Centre, ლიეტუვაში - Communications Regulatory Authority, უნგრეთში - National Communications Authority, შვედეთში - Post and Telecom Authority, ფინეთში - Transport and Communication Agency და ა.შ.<sup>4</sup>

ამდენად, სახელმწიფო საზედამხედველო ფუნქციასთან მიმართებით დირექტივა არ აწესებს ჩარჩო მიდგომას, რასაც ევროკავშირის ქვეყნებში არსებული დიფერენცირებული მიდგომაც ადასტურებს.

## პრობლემის იდენტიფიცირება

რადიო აპარატურა არის ისეთი ელექტრო ან ელექტრონული პროდუქტი, რომელიც მიზნობრივად ასხივებს, იღებს რადიოტალღებს რადიოკომუნიკაციის ან/და რადიოგანსაზღვრის მიზნით. ასევე, რადიო მოწყობილობა არის ელექტრო ან ელექტრონული პროდუქტი, რომელიც უნდა შეივსოს დამატებითი აღჭურვილობით, როგორც არის ანტენა, იმისათვის, რომ მიზნობრივად გაასხივოს, მიიღოს რადიოტალღები რადიოკომუნიკაციის ან/და რადიოგანსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, ევროკავშირის №2014/53/EC დირექტივა, განსაზღვრავს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლის დაცულობის პირობებში, აღნიშნული პროდუქტის ბაზარზე

---

<sup>4</sup> ევროკომისია „Radio Equipment Directive - Market Surveillance Authorities“; იხ. ბმული: <https://ec.europa.eu/docsroom/documents/46634>



განთავსება, წვდომის უზრუნველყოფა და ექსპლუატაციაში გაშვება უსაფრთხო იქნება.

საგულისხმოა, რომ ადამიანთა საყოფაცხოვრებო გარემოს ელექტრომაგნიტური გამოსხივებით დაბინძურება ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

ეს პრობლემა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ადამიანისთვის ყველაზე საშიშ პრობლემათა შორისაც კი დაასახელა. WHO-მ ჩამოაყალიბა საერთაშორისო ელექტრომაგნიტური ველების (EMF) პროექტი, რათა მეცნიერულად იქნას შეფასებული ელექტრომაგნიტური ველებიდან ჯანმრთელობაზე შესაძლო მავნე ზემოქმედება და შემუშავებულ იქნას საერთაშორისო სტანდარტები ექსპოზიციის შეზღუდვის მიზნით. პროექტის ფარგლებში, WHO ატარებს კვლევებს და რისკების შეფასებას სხვადასხვა EMF გამოსხივების ტექნოლოგიებზე. ამასთან, ხელს უწყობს დიალოგს მეცნიერებს, მთავრობებს, ინდუსტრიასა და საზოგადოებას შორის ელექტრომაგნიტური ველის ჯანმრთელობის პოტენციური მავნე რისკების შესახებ ცოდნის დონის ამაღლების მიზნით<sup>5</sup>.

ყველა სიხშირის ელექტრომაგნიტური ველი (EMF) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და ყველაზე სწრაფად მზარდ გავლენას გარემოზე. დღესდღეობით მოსახლეობა ელექტრომაგნიტური ველის სხვადასხვა ხარისხის ზეგავლენის ქვეშ არის და ტექნოლოგიური წინსვლა განაპირობებს მისი დონის კიდევ უფრო გაზრდას. ელექტრომაგნიტური გამოსხივება სამყაროს დაბადებიდან არსებობს. ელექტრული და მაგნიტური ველები არის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის ნაწილი, რომელიც ვრცელდება სტატიკური ელექტრული და მაგნიტური ველებიდან, რადიოსიხშირული და ინფრაწითელი გამოსხივებით, რენტგენულ სხივებამდე.

დღეს, სამეცნიერო ლიტერატურაში თანამედროვე ტექნოლოგიები განიხილება, როგორც ელექტრომაგნიტური ველებიდან წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური დაბინძურების და შედეგად, ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყარო. ხშირ შემთხვევაში, ეს დაბინძურება ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ელექტრომაგნიტური ველების ან რადიაციის ნებისმიერი ბუნებრივი წყარო.

საგულისხმოა, რომ უკაბელო და რადიო კომუნიკაციები, ელექტროგადამცემი ან ყოველდღიური გამოყენების მოწყობილობები, როგორცაა სმარტფონები, პორტატული კომპიუტერები, მიკროტალღური ღუმელები და სხვა საყოფაცხოვრებო

---

<sup>5</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია; იხ. ბმული: <https://www.who.int/activities/supporting-the-development-of-national-policies-on-electromagnetic-fields>

ტექნიკა გამოსცემს დაბალი ინტენსივობის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას (მაგ. 300 მგჰ-დან 300 გეგაჰერცამდე), თუმცა მეორეს მხრივ, ელექტროგადამცემი ხაზები და ელექტრო მოწყობილობები ელექტრომაგნიტური ველების ძლიერი წყაროა (ელექტროგადამცემი ხაზები, ძირითადად მაგნიტური ტრანსფორმატორები, ან ელექტრომაგნიტური ანტენები), რაც ყოველდღიურად იწვევს ადამიანების და ბუნებრივი გარემოს ელექტრომაგნიტურ დაბინძურებას. ამ დაბინძურებით გამოწვეული ზიანი ჯერ კიდევ სადაოა, რადგან არ არსებობს მკაფიო და საბოლოო მტკიცებულება ადამიანზე მისი უარყოფითი გავლენის შესახებ. სწორედ ამიტომ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამეცნიერო კვლევები ელექტრომაგნიტური ველების და ელექტრომაგნიტური გამოსხივების ცოცხალ ორგანიზმებზე გავლენის შეფასების თვალსაზრისით<sup>6</sup>.

კვლევები აჩვენებს, რომ ელექტრომაგნიტური ველით გამოწვეული ზემოქმედება შეიძლება საშიში იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მათ შორის, მობილური ტელეფონის გამოსხივების ზეგავლენა ჯანმრთელობასა და მეხსიერებაზე. ამდენად, უსაფრთხო რადიო მოწყობილობის ბაზარზე განთავსება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

დღესდღეობით, საქართველოს კანონმდებლობით რადიო მოწყობილობის მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის, დისტრიბუტორის თუ იმპორტიორის ვალდებულება, რომ ბაზარზე განათავსონ/ხელმისაწვდომი გახადონ უსაფრთხო რადიო მოწყობილობა, განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ისეთი პირობების შემოღება, რომლის შედეგად მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი რადიო მოწყობილობა უსაფრთხო იქნება როგორც ადამიანის, ასევე, ცხოველების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. აღნიშნული პროდუქცია საფრთხეს არ შეუქმნის კერძო საკუთრებას, ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება ელექტრომაგნიტური თავსებადობის სათანადო დონე და დაცული იქნება რადიოსიხშიური სპექტრის ეფექტური გამოყენება საზიანო ჩარევის თავიდან აცილების მიზნით.

---

<sup>6</sup> წყარო: Hindawi journal „The Influence of Electromagnetic Pollution on Living Organisms: Historical Trends and Forecasting Changes“; იხ. ბმული: <https://www.hindawi.com/journals/bmri/2015/234098/>



## არსებული მარეგულირებელი ნორმები

საქართველოს ორგანული კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომელიც 2012 წელს იქნა მიღებული, ძირითად პრინციპს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა, ამასთან, უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსებისა და თავისუფალი მიმოქცევის ხელშეწყობა, რამაც უნდა უზრუნველყოს პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსების პროცესში კონკურენცია და სხვ.

კოდექსის მიღებამ, რომელმაც მნიშვნელოვანი ჩარჩო მარეგულირებელი ნორმები დააწესა და რომლის მიზანი საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის განვითარების ხელშეწყობაა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოვებას.

თავის მხრივ, ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობა ითვალისწინებს ვაჭრობისათვის გადასალახ ბარიერებს, როგორცაა ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები, შესაბამისობის შეფასების პროცედურები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის განვითარების ხელშეწყობა ითვალისწინებს პროდუქტის მწარმოებლის ვალდებულებებს, რათა მომხმარებელს მიაწოდოს სრული ინფორმაცია პროდუქტზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსებას და მომხმარებლების სრულად ინფორმირებულობას, როგორც პროდუქტის მწარმოებლის, ასევე, თავად პროდუქტის შესახებ.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს ბაზარზე დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე პროდუქტის დაშვების პირობებს. კერძოდ, კოდექსი განსაზღვრავს პროდუქტის ნიშანდების საკითხს, რომლის თანახმად პასუხისმგებელი პირი ახდენს იმის დეკლარირებას, რომ პროდუქტი შეესაბამება ახალი მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტებს, გავლილი აქვს შესაბამისობის შეფასების პროცედურები და აღნიშნული პროდუქტი საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ასევე, საკუთრებას. კოდექსის თანახმად, ევროკავშირში მოქმედი მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი „CE ნიშანდების“ მქონე პროდუქტი

საქართველოში დაიშვება დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე<sup>7</sup>.

თავის მხრივ, საქართველოში პროდუქტის შესახებ შესაბამის სტანდარტებს შეიმუშავებს და აქვეყნებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო. იმ შემთხვევაში თუ პროდუქტი სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, აღნიშნული პროდუქტის ბაზარზე განთავსება ნებადართულია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N50 დადგენილება<sup>8</sup> „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე, სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ ითვალისწინებს საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვებას და შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარებას.

აღნიშნული გულისხმობს, რომ სამოქმედოდ იქნა დაშვებული ამ ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტები და შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტი საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაიშვება. ამდენად, სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტი საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსდება.

დადგენილების თანახმად, განისაზღვრა ქვეყნების ნუსხა და საქართველოში სამოქმედოდ იქნა დაშვებული ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები, ჯამში 37 სახელმწიფოს ტექნიკური რეგლამენტები.

---

<sup>7</sup> წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“; 94-ე მუხლი, მე-5 პუნქტი; N 6157-ის; 08.05.2012წ.; იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419?publication=34>

<sup>8</sup> საკანონმდებლო მაცნე; საქართველოს მთავრობის დადგენილება N50; 07.03.2013წ. იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1868168?publication=0>

საგულისხმოა, რომ საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე დაიშვება მხოლოდ ის პროდუქტი, რომელსაც აქვს დადგენილებით განსაზღვრულ ქვეყნებში უფლებამოსილი/აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამასთან, „საქართველოში იმპორტირებული, შესაბამისობის შეფასებისადმი დაქვემდებარებული ობიექტების მიერ შესაბამისობის შეფასების პროცედურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N51 დადგენილებით<sup>9</sup> განისაზღვრა რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული იმ პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსების მიზნით შესაბამისობის შეფასების პროცედურები, რომელსაც არ ახლავს საქართველოს მთავრობის N50 დადგენილებით განსაზღვრულ ქვეყნებში უფლებამოსილი/აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

თავის მხრივ, პროდუქტის ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული ვალდებულებების და ამ სფეროში არსებული გამოწვევების ეფექტიანად განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, 2018 წელს ამოქმედდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა ინდუსტრიულ და სამომხმარებლო პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის მეთოდები, პრინციპები, შემზღუდველი ღონისძიებები და სანქციები.

ამ მიზნით, 2020 წლიდან საქართველოში ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ამოქმედდა. სააგენტო, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, ახორციელებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობას, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და ზედამხედველ ორგანოდ განსაზღვრულია სააგენტო. სააგენტო უფლებამოსილია, შეამოწმოს პროდუქტის თანდართული დოკუმენტების შესაბამისობა, საჭიროების შემთხვევაში კი დაავალოს ეკონომიკურ ოპერატორს ბაზრიდან საფრთხის შემცველი პროდუქციის ამოღება.

დღეს მწარმოებელი, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ვალდებულია პროდუქციის ბაზარზე განთავსებამდე მოახდინოს მისი შესაბამისობის შეფასება

---

<sup>9</sup> საკანონმდებლო მაცნე; საქართველოს მთავრობის დადგენილება N51; 07.03.2013წ. იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1868179?publication=0>

კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნულ შეფასებას ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანო (შშო), რომლის თავად აკრედიტაციას ახორციელებს აკრედიტაციის ორგანო.

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი, წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აკრედიტაციის საფუძველზე აკრედიტაციის ორგანო ადასტურებს, რომ შშო შეესაბამება შესაბამისი აკრედიტაციის სქემით დადგენილ მოთხოვნებს და შეუძლია შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების განხორციელება მინიჭებული აკრედიტაციის სფეროს შესაბამისად.

თავის მხრივ, აკრედიტაცია არის ნებაყოფლობითი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აკრედიტაციის ვალდებულება გამომდინარეობს რომელიმე კანონის მოთხოვნებიდან. აკრედიტაციის სისტემა ქვეყანაში უზრუნველყოფს შესაბამისობის შეფასების პროცესების საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მოთხოვნებით წარმართვას შშო-ებზე აკრედიტაციის გაცემის გზით.

## მონაცემთა ანალიზი: არსებული ტენდენციები


მსოფლიოში ტექნოლოგიური წინსვლა განაპირობებს მზარდ მოთხოვნას სხვადასხვა ელექტრო და ელექტრონულ პროდუქტებზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დღეს საქართველოში, რადიო აპარატურის ბაზარი მთლიანად იმპორტირებული საქონლით არის წარმოდგენილი. ქვეყანაში რადიო მოწყობილობის ადგილობრივი წარმოების მასშტაბი ძალიან დაბალია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბაზარზე სულ რამდენიმე საწარმო ოპერირებს, რომლებიც ძირითადად მცირე ზომის კომპანიებს წარმოადგენენ. შესაბამისად, რადიო აპარატურის პროდუქციის წარმოების მასშტაბი მცირეა, არ ხდება მასობრივი წარმოება და ამასთან, წარმოების პროცესში ძირითადად გამოიყენება არა ადგილობრივად წარმოებული, არამედ იმპორტირებული პროდუქცია, ნაწილები ან/და დეტალები.

2020 წელს საქართველოს ბაზარზე იმპორტირებული რადიო მოწყობილობის ღირებულებამ 227,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტმა - 7,0 მლნ. აშშ დოლარი. ექსპორტში წმინდა ექსპორტის მოცულობა 4,9 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

აღსანიშნავია, რომ 2015-2020 წლებში სულ იმპორტირებულმა რადიო მოწყობილობის ღირებულებამ 1,602.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტმა - 64.0 მლნ. აშშ დოლარი.

დიაგრამა 1. რადიო მოწყობილობის ექსპორტ-იმპორტი




## იმპორტის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2020 წელს და 2021 წლის 9 თვეში საქართველოში რადიო მოწყობილობის იმპორტი 1015 მეწარმე სუბიექტმა განახორციელა, მათ შორის არიან როგორც მსხვილი იმპორტიორები, ასევე, საშუალო და მცირე კომპანიები. მსხვილი იმპორტიორები ბაზარზე წარმოდგენილნი არიან შემდეგი მაღაზიათა ქსელებით, როგორცაა „ალტა“, „მეგატექნიკა“, „ZOOMMER“, „ელიტ ელექტრონიქსი“, „VESTEL“, „BEKO“<sup>10</sup>.

2020 წელს, საქართველოში რადიო მოწყობილობის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა არაბთა გაერთიანებული საამიროები, საიდანაც იმპორტის მოცულობამ ნომინალში 68,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რომლის წილმა მთლიანი რადიო მოწყობილობის იმპორტის 30% შეადგინა. მეორე უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა რუსეთი, რომლის წილმა მთლიანი იმპორტის 17.2% და ნომინალში 39.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მესამე პოზიციას კი 13.7%-ით ჩინეთი იკავებს.

დიაგრამა 2. იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2020 წ.



წყარო: საქსტატი

ქვეყანაში რადიო მოწყობილობის შემდეგი სახის პროდუქცია შემოდის, კერძოდ: სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის; მიკროფონები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა; აპარატურა ვიდეოჩამწერი ან ვიდეოაღმწარმოებელი; აპარატურა გადამცემი რადიოსატელეფონო, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის; აპარატურა მიმღები


<sup>10</sup> შენიშვნა: კომპანიები წარმოადგენენ ავტორიზებულ წარმომადგენლებს.

რადიოსატელეფონო ან რადიომალწყებლობისათვის; აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის და ნაწილები განკუთვნილი ტელე-რადიო აპარატურისათვის, მიკრო ტალღური ღუმელებისთვის, სამზარეულოს ჭკვიანი მოწყობილობებისთვის, ბლუთუზ ჯაგრისები და სხვ.

**შენიშვნა:** რადიო რეგლამენტის რეგულირების სფეროში ექცევა აპარატურა, რომლის სიხშირული დიაპაზონი 3000 გეგაჰერცამდე რადიოტალღებს მოიცავს. შესაბამისად, რადიო მოწყობილობა, რომელიც აღნიშნულ დიაპაზონში არ ექცევა, არ წარმოადგენს ამ ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების საგანს. აღსანიშნავია, რომ სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარები, ასევე, არ ექცევა რადიო მოწყობილობის შესახებ რეგლამენტის რეგულირების სფეროში.

საიმპორტო პროდუქციას შორის, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფია სატელეფონო აპარატები. კერძოდ, 2020 წელს სატელეფონო აპარატების იმპორტმა 164.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი იმპორტის 72%), საიდანაც 128.4 მლნ. აშშ დოლარი (სატელეფონო აპარატების 78%) ფიჭურ სატელეფონო აპარატებზე მოდის და რაც, თავის მხრივ, მთლიანი იმპორტის 56%-ს შეადგენს. ფიჭური სატელეფონო აპარატების უმსხვილესი იმპორტიორია არაბთა გაერთიანებული საამიროები, საიდანაც აღნიშნული პროდუქციის იმპორტმა 2020 წელს 63.4 მლნ. აშშ დოლარი (მთლიანი რადიო მოწყობილობის იმპორტის 27.8%) შეადგინა, მეორე პოზიციაზეა რუსეთი - 28.4 მლნ. აშშ დოლარით (12.5%), მესამე პოზიციას ჰონგ-კონგი იკავებს, შესაბამისად, 17.5 მლნ. აშშ დოლარით (7.7%).

**დიაგრამა 3. იმპორტის სტრუქტურა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით**




წყარო: საქსტატი



როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2020 წელს სატელეფონო აპარატების იმპორტმა 164.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და რაოდენობრივად 1,6 მილიონი ცალი შეადგინა. იმპორტირებული პროდუქციის საშუალო ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, კერძოდ, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობამ 412 ათასი ცალი შეადგინა, რომლის საშუალო ღირებულება ერთ ერთეულზე 158 აშშ. დოლარს უტოლდება. ჩინეთიდან, რომელიც მეორე უმსხვილესია იმპორტიორია, იმპორტირებული სატელეფონო აპარატურის რაოდენობამ 373 ათასი ცალი შეადგინა, რომლის საშუალო ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია და ერთეულის საშუალო ღირებულება 22 აშშ. დოლარს შეადგენს. სატელეფონო აპარატურის ყველაზე მაღალი ფასი ერთ ერთეულზე ევროპის ქვეყნებიდან დაფიქსირდა.

**დიაგრამა 4. იმპორტირებული სატელეფონო აპარატების რაოდენობა და საშუალო ღირებულება**



წყარო: საქსტატი

2020 წელს, რადიო მოწყობილობის იმპორტის ღირებულებამ იმ ქვეყნებიდან, საიდანაც შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტი საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაიშვება (EU და OECD-ის წევრი სახელმწიფოები), 56,1 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 24.6% შეადგინა. რაც შეეხება სატელეფონო აპარატურას, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციაა, აღნიშნულ პერიოდში, EU და OECD-ის წევრი სახელმწიფოებიდან იმპორტირებული იქნა 104 ათასი ცალი სატელეფონო აპარატურა (მთლიანი



სატელეფონო აპარატურის დაახლოებით 7%), რომლის ღირებულებამ 17,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ღირებულების 10%-ს შეადგენს.

ამდენად, საგარეო ვაჭრობის მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემდეგი მოცემულობა გამოიკვეთა. კერძოდ, 2020 წელს რადიო მოწყობილობის იმპორტმა სულ 227.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო EU და OECD-ის წევრი სახელმწიფოებიდან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება 56,1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

აღსანიშნავია, რომ EU და OECD-ის წევრი სახელმწიფოებიდან იმპორტირებული პროდუქციის გარდა, სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული რადიო მოწყობილობის დაახლოებით 70%-80%-ს „CE ნიშანდება“ აქვს, თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნული ნიშანდება კანონის დაცვითაა დატანილი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული პროდუქტისაქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე იქნება დაშვებული.

თუ რამდენად შეესაბამება ადგილობრივ ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქცია ევროპულ ან საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, ამ მიზნით განხორციელდა ბაზრის შესწავლა. მსხვილი და საშუალო ზომის იმპორტიორი კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ მიერ ძირითადად ხორციელდება „CE ნიშანდების“ მქონე პროდუქციის იმპორტი. მაგალითად, საქართველოში ტექნიკის უმსხვილესი იმპორტიორი კომპანიაა „ელიტელექტრონიქსი“, რომელიც ადგილობრივი ბაზრის 30%-ს იკავებს. კომპანიის მიერ იმპორტირებული აპარატურის 95%-ზე მეტი სწორედ „CE ნიშანდებით“ არის. მაღაზიათა ქსელი „მეგატექნიკის“ მიერ, რომლის წილიც ბაზარზე დაახლოებით 7%-ს შეადგენს, იმპორტირებული პროდუქციის დაახლოებით 70%-ს აქვს „CE ნიშანდება“. ასევე, კომპანია „ალტას“ მიერ იმპორტირებული პროდუქციის 90%-ზე მეტს „CE ნიშანდება“ აქვს<sup>11</sup>.


---

<sup>11</sup> შენიშვნა: კომპანიების მიერ მოწოდებული მონაცემები.

## ექსპორტის მიმოხილვა

2020 წელს, რადიო მოწყობილობის ექსპორტმა 7.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში რეექსპორტი 2.1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა და შესაბამისად, ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ 4.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, ბოლო წლებში ექსპორტის მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება.

დიაგრამა 5. რადიო მოწყობილობის ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ წმინდა ექსპორტი ბუნებრივად არ გამორიცხავს რეექსპორტს, რადგან ხშირ შემთხვევაში, როდესაც იმპორტირებული საქონელი საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდი ყოვნდება და გარკვეულ შემთხვევებში განიცდის სახეცვლილებას, შემდეგად აღნიშნული საქონლის ექსპორტზე გატანა აღირიცხება როგორც ექსპორტი და არა რეექსპორტი.

საქართველოდან რადიო აპარატურის ძირითადი ექსპორტი მეზობელ ქვეყნებზე - აზერბაიჯანსა და სომხეთზე მოდის და ამ ორი ქვეყნის წილი 51%-ს აღემატება. 2020 წელს, რადიო მოწყობილობის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანაა აზერბაიჯანი, სადაც წმინდა ექსპორტის მოცულობამ 1,575 ათასი აშშ დოლარი და მთლიანი წმინდა ექსპორტის 32,3%-ს შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, სომხეთში ექსპორტირებული იქნა 938 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია (19,2%), ხოლო ისრაელში - 878 ათასი აშშ დოლარის (18%).

დიაგრამა 6. რადიო მოწყობილობის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქსტატი

უმსხვილეს საექსპორტო ჯგუფს განეკუთვნება ფიჭური სატელეფონო აპარატურა. 2020 წელს აღნიშნული პროდუქციის წმინდა ექსპორტმა 1.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი წმინდა ექსპორტის 26,5%-ს უტოლდება.

ფიჭური სატელეფონო აპარატურის ძირითადი საექსპორტო ბაზარია აზერბაიჯანი, სადაც ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 806 ათასი აშშ დოლარი და მთლიანი წმინდა ექსპორტის 62,4% შეადგინა. მეორე პოზიციაზეა არაბთა გაერთიანებული საამიროები, სადაც იმპორტირებული იქნა 253,7 ათასი აშშ დოლარის ღირებულების (19,6%) ფიჭური სატელეფონო აპარატურა, ხოლო აღნიშნულ პერიოდში სომხეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობამ 205.5 ათასი აშშ დოლარი (15,9%) შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით, ფიჭური სატელეფონო აპარატურის საექსპორტო ღირებულება 20,8%-ით შემცირდა, თუმცა მნიშვნელოვნად - 78%-ით აღემატება 2018 წლის მონაცემს.

საექსპორტო პროდუქციას შორისაა ხმის მოწყობილობები, გამოსახულების ან სხვა მონაცემების მიღების, გარდაქმნის და გადაცემისთვის განკუთვნილი აპარატურა, რომლის წმინდა ექსპორტმა, 2020 წელს, 818 ათასი აშშ დოლარი და მთლიანი წმინდა ექსპორტის 16,8% შეადგინა. აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის 37,6% სომხეთზე მოდის, გერმანიაზე - 27%, ლიეტუვაზე - 16%, აზერბაიჯანზე - 4,8% და ა.შ. აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი 2019 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა, თუმცა მნიშვნელოვნად შემცირებულია 2018 წლის მონაცემთან შედარებით.

მესამე უმსხვილეს საექსპორტო ჯგუფს განეკუთვნება მონიტორები და პროექტორები, რომლის ექსპორტმა, 2020 წელს, 677 ათასი აშშ დოლარი და მთლიანი წმინდა

ექსპორტის 13,9% შეადგინა. აღნიშნული პროდუქციის 39,2% თურქმენეთზე მოდის, ნომინალში 265.2 ათასი აშშ დოლარის ღირებულების, სომხეთში ექსპორტირებული იქნა 201 ათასი აშშ დოლარის პროდუქცია, ხოლო აზერბაიჯანში - 149.1 ათასი აშშ დოლარის.

## ადგილობრივი წარმოება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, შესწავლილ იქნა და შეფასდა საქართველოში რადიო მოწყობილობის მწარმოებელი 3 კომპანიის საქმიანობა - შპს „გურამექსი“, შპს „მიკროელექტრონიქს“ და შპს „უნივერსალკომი“.

შპს „გურამექსი“ აწარმოებს პროფესიონალურ სატელევიზიო მოწყობილობას. კომპანია მცირე ზომის საწარმოა. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია განკუთვნილია როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის, ასევე, გადის ექსპორტზეც. ექსპორტის წილი საშუალოდ 50%-ს შეადგენს. წარმოების პროცესში ძირითადად იმპორტირებული ნაწილები გამოიყენება, თუმცა, ნაწილობრივ ადგილობრივი პროდუქციის გამოყენებაც ხდება.

შპს „მიკროელექტრონიქს“-ის საქმიანობაა ელექტრო საქონლის წარმოება. კომპანია მიეკუთვნება მცირე ზომის საწარმოს. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე, პროდუქცია ექსპორტზე გადის აზერბაიჯანში, რომლის წილიც მთლიანი წარმოების თითქმის 50%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის წარმოება მთლიანად ჩინეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან იმპორტირებული დეტალებით ხორციელდება, ამასთან დეტალების უმეტესი ნაწილი არ არის „CE ნიშანდებით“.

შპს „უნივერსალკომი“ აწარმოებს ჩასარიცხ აპარატებს (ფეიბოქსებს). კომპანია მცირე ზომის საწარმოა. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია განკუთვნილია მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისთვის. წარმოების პროცესში მხოლოდ იმპორტირებული დეტალების/ნაწილების გამოყენება ხდება და აღნიშნული პროდუქციის მხოლოდ ნაწილი არის „CE ნიშანდებით“.

## 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები

2015 წლის დეკემბერში, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის წევრებმა, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე, მიიღეს ღია მმართველობის ერთობლივი დეკლარაცია 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ. მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტს „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ 193 წევრი ქვეყანა მიუერთდა. დღის წესრიგი აერთიანებს 17 მიზანს, 169 ამოცანას და მოიცავს მდგრადი განვითარების სამივე მიმართულებას, როგორცაა სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი. საქართველოს ნაციონალიზებული აქვს 17 მიზანი, 94 ამოცანა და 202 სამიზნე ინდიკატორი.

2030 წლის დღის წესრიგი ერთადერთი გლობალური დღის წესრიგია, რომლის შესრულებაშიც ყველა ქვეყანა თანაბრად ერთვება და იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას გამჭვირვალობის, ჩართულობის, ანგარიშვალდებულების გაზრდის და ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე.

საქართველომ გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის მიზნები (SDG) ქვეყნის პრიორიტეტად გამოაცხადა და მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად, საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, შეიმუშავა გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ეროვნული დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს, 2030 წლის დღის წესრიგიდან გამომდინარე, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით შემუშავებულ მდგრადი განვითარების მიზნებს, გლობალურ და ეროვნულ ამოცანებსა და ინდიკატორებს, საბაზისო მონაცემებს და მონაცემთა წყაროებს.

კერძოდ, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტში მე-9 მიზანი: „ინდუსტრია, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“ ითვალისწინებს მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნას, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. აღნიშნული, თავის მხრივ, მდგრადი განვითარების ეკონომიკური ზრდის მიზნის N8.2 ამოცანის შესრულებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული ითვალისწინებს სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, სრულ დასაქმებას და ღირსეულ სამუშაო პირობებს ყველასთვის. ეს უკანასკნელი კი სწორედ, 2030 წლისთვის ტექნოლოგიების განახლებისა და

ინოვაციების მეშვეობით ეკონომიკური პროდუქტიულობის უფრო მაღალი დონის მიღწევას ისახავს მიზნად.

**ცხრილი 2. 2030 მდგრადი განვითარების მიზნები**

მიზანი 8: ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორები - მიზანი 2030
<p>8.1 2030 წლისთვის ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება ეროვნული გარემოებების შესაბამისად.</p>	<p>ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ის წლიური ზრდის მაჩვენებელი (5%)</p>
მიზანი 9: მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა	საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორები - მიზანი 2030
<p>9.5 სამეცნიერო კვლევების გაძლიერება, სამრეწველო სექტორების ტექნოლოგიური შესაძლებლობების განახლება, მათ შორის 2030 წლისთვის ინოვაციების წახალისება და ყოველ 1 მილიონ ადამიანზე კვლევებისა და განვითარების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის, აგრეთვე საჯარო და კერძო კვლევებისა და განვითარების დანახარჯების მნიშვნელოვნად გაზრდა.</p> <p>9.ბ ადგილობრივი ტექნოლოგიის განვითარების, კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა, ხელშემწყობი პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფის ჩათვლით. მათ შორის, სამრეწველო დივერსიფიცირების და ფართო მოხმარების საქონლისთვის ღირებულების დამატების მეშვეობით.</p>	<p>9.5.1 კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯები</p> <p>2015: 0.39 %</p> <p>9.ბ.1 მთლიან დამატებით ღირებულებაში საშუალო და მაღალტექნოლოგიური მრეწველობის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულების წილი: 30%</p> <p>2014: 29 %</p>

## II. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

პოლიტიკის ზეგავლენის შეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესია დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა, იმისთვის რომ შეფასდეს, თუ რა მოსალოდნელი გავლენები, მათ შორის, დანახარჯები და სარგებელი, შესაძლოა ჰქონდეს შემოთავაზებულ პოლიტიკას სხვადასხვა მხარისთვის, როგორც მათი ჩართულობა და რა როლი შესაძლოა იქონიონ პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დაინტერესებული მხარეები დაჯგუფდა მათი ინტერესის და ზეგავლენის თვალსაზრისით.

ცხრილი 3. დაინტერესებულ მხარეთა ინტერესის/ზეგავლენის რუკა

ზეგავლენა / ინტერესი	დაბალი ზეგავლენა	მაღალი ზეგავლენა
მაღალი ინტერესი	<ul style="list-style-type: none"> <li>- ადგილობრივი მწარმოებლები</li> <li>- რადიო მოწყობილობის იმპორტიორები</li> <li>- პროდუქციის საბითუმო და საცალო რეალიზატორები</li> <li>- ბიზნეს ასოციაციები</li> <li>- მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები</li> <li>- სატელეკომუნიკაციო კომპანიები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</li> <li>- სსიპ აკრედიტაციის ცენტრი</li> <li>- სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო</li> <li>- ზედამხედველი ორგანო</li> </ul>
დაბალი ინტერესი	<ul style="list-style-type: none"> <li>- მომხმარებლები</li> <li>- გარემოს დამცველთა ასოციაციები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</li> </ul>

დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა შეხვედრები/კონსულტაციები, სადაც განხილული იქნა რადიო მოწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი პრინციპები. ადგილობრივი მწარმოებლებისა და იმპორტიორების მხრიდან დასახელდა ის ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, რაც მომავალში მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ბაზარზე და საბოლოო მომხმარებელზე.



## რადიო აპარატურის მწარმოებელი კომპანიები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში რადიო მოწყობილობის მწარმოებელი 3 კომპანიაა - შპს „გურამექსი“, შპს „უნივერსალკომი“ და შპს „მიკროელექტრონიქს“. კომპანიების მხრიდან მთავარ საკითხად სტანდარტების დანერგვა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები დასახელდა.

- **სტანდარტების დანერგვა**

შპს „გურამექსი“, რომელიც პროფესიონალურ სატელევიზიო მოწყობილობას აწარმოებს, ძირითადად ყიდულობს მაკომპლექტებლებს „CE ნიშანდებით“, ან Pb-free<sup>12</sup>, RoHS<sup>13</sup> სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამის ნაწილებს. უახლოეს პერიოდში კომპანია გეგმავს აპარატურის გამოცდის დაწყებას და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას CE სერთიფიკატის მისაღებად. წინასწარი შეფასებით თითოეულ მოწყობილობაზე გაწეული ხარჯი 2000-4000 ევროს ფარგლებში მერყეობს.

სხვა ადგილობრივი მწარმოებლების შეფასებით, იქიდან გამომდინარე, რომ დღეს საქართველოში რადიო მოწყობილობის წარმოების პროცესი არ რეგულირდება, ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სტანდარტების შემოღება მნიშვნელოვან ფინანსურ ტვირთს წარმოშობს.

კომპანიებში აცხადებენ, რომ მათ არ აქვთ ცოდნა და გამოცდილება შიდა საწარმოო კონტროლის პროცესის დანერგვის, ხოლო შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს (შშო) მიერ შეფასების განხორციელება გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. სწორედ, შესაბამისობის შეფასების პროცედურით უნდა დადასტურდეს, რომ რადიო მოწყობილობა შეესაბამება მოთხოვნებს და მხოლოდ აღნიშნულის საფუძველზე უნდა მომზადდეს შესაბამისობის დეკლარაცია. ყოველივე კი არის პროდუქტის ბაზარზე განთავსების წინაპირობა, რაც მწარმოებელთა შეფასებით, გავლენას იქონიებს პროდუქციის თვითღირებულებაზე, ასევე, უარყოფითად აისახება წარმოების მასშტაბსა და ექსპორტზე.

---

<sup>12</sup> შენიშვნა: მიკროელექტრონული ინდუსტრიის გლობალური სტანდარტები; იხ.ბმული:

<https://www.jedec.org/standards-documents/dictionary/terms/pb-free-lead-free>

<sup>13</sup> შენიშვნა: RoHS რეგულაციები შექმნილია გარემოსთვის და ადამიანებისთვის საშიში ნივთიერებების შეზღუდვის ან აღმოფხვრის მიზნით, რადგან არასათანადოდ დამუშავებული ელექტრონული ნარჩენები საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. იხ. ბმული:

<https://www.eurocircuits.com/blog/rohs-and-lead-free-compliance/>



## რადიო აპარატურის მსხვილი იმპორტიორები და რეალიზატორები

კვლევის პროცესში კონსულტაციები გაიმართა მსხვილ და საშუალო ზომის იმპორტიორ კომპანიებთან. აღნიშნული კომპანიების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 4. რადიო აპარატურის იმპორტიორები და რეალიზატორები

კომპანია	საქმიანობა	დასაქმება
სს „ელიტ ელექტრონიქსი“ <sup>14</sup>	კომპანია წარმოადგენს ბაზარზე უმსხვილეს საცალო სავაჭრო ქსელს, რომელიც საქართველოს მასშტაბით ფლობს 17 მაღაზიას და გააჩნია დილერების მიერ ფლობილი 5 ფრანჩიზული მაღაზია. კომპანია ვაჭრობს 50-მდე სხვადასხვა მწარმოებლის 5,000-მდე დასახელების სხვადასხვა საქონლით, როგორცაა მსხვილი და წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სამომხმარებლო, კომპიუტერული და მობილური ტექნიკა.	ჯგუფში სულ დასაქმებულია 650 ადამიანი.
შპს „ალტა“ <sup>15</sup>	კომპანია საქართველოში ელექტრო ტექნიკის ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია. კომპანია ახორციელებს მობილური, კომპიუტერული, აუდიო ვიდეო და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტს და მის საბითუმო, საცალო და კორპორატიულ რეალიზაციას. კომპანია თავის საბოლოო მომხმარებლებს სთავაზობს მსოფლიოში წამყვანი ბრენდების ოფიციალურ ტექნიკას ოფიციალური გარანტიით.	შპს „ალტას“ რამდენიმე შვილობილი კომპანია ჰყავს და ჯგუფში სულ დასაქმებულია 567 ადამიანი, მათ შორის, 256 ქალი (45,1%) და 311 მამაკაცი (54,9%).

<sup>14</sup> წყარო: სს „ელიტ ელექტრონიქსი“-ს წლიური ანგარიში, 2020 წ.; იხ. ბმული: [ანგარიშგების პორტალი \(reportal.ge\)](http://reportal.ge)

<sup>15</sup> წყარო: შპს „ალტა“-ს წლიური ანგარიში, 2020 წ.; იხ. ბმული: [30324 \(reportal.ge\)](http://reportal.ge)

შპს „ომეგა“ <sup>16</sup>	კომპანია ბაზარზე წარმოდგენილია „მეგატექნიკის“ მაღაზიათა ქსელის სახით, რომელიც ახორციელებს საბითუმო და საცალო ვაჭრობას ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით. კომპანიის საცალო ქსელი მოიცავს 10 მაღაზიას და 3 საწყობს.	დღესდღეობით კომპანიაში დასაქმებულია 150-მდე თანამშრომელი
შპს „ტექნოჰაუს“ <sup>17</sup>	კომპანია არის მსოფლიო ბრენდების ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს როგორც საცალო, ასევე, სადილერო საყოფაცხოვრებო ტექნიკის და კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვა, ამასთან, კომპანიას პროდუქცია ექსპორტზე გააქვს ყირგიზეთსა და სომხეთის რესპუბლიკაში.	2020 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 129 თანამშრომელი.
შპს „მატექს ჯორჯია“ <sup>18</sup>	კომპანია კომპანია ახორციელებს საოჯახო ტექნიკის იმპორტს და ტექნიკის რეალიზაციას საქართველოს მასშტაბით, აგრეთვე ეწევა ამ ტექნიკის ექსპორტს საქართველოს ფარგლებს გარეთ. საწარმო თურქული ბრენდის “vestel“-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში.	„მატექს ჯორჯია“-ს მიერ დასაქმებულთა რაოდენობა 105-ადამიანს აღემატება
შპს „მეტრომარტ“ <sup>19</sup>	კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტრონული მოწყობილობების და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაცია. კომპანია საკუთარ საქმიანობას წარმართავს საქართველოში, საცალო გაყიდვების ქსელის მეშვეობით, ადგილობრივ ბაზარზე შეისყიდის საქონელს და როგორც წესი არ ახდენს საქონლის იმპორტს სხვა ქვეყნებიდან. მაღაზიებში წარმოდგენილია A კლასის ბრენდები, ასევე, B და C კლასის (ბიუჯეტური) ბრენდები.	კომპანიაში 2020 წელს დასაქმებული იყო საშუალოდ 104 თანამშრომელი, აქედან 47% ქალი, 53% მამაკაცი.

<sup>16</sup> წყარო: შპს „ომეგა“-ს წლიური ანგარიში, 2020 წ.; იხ. ბმული: <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/26246>

<sup>17</sup> წყარო: შპს „ტექნოჰაუს“-ის წლიური ანგარიში, 2020 წ.; იხ. ბმული: [27818 \(reportal.ge\)](https://reportal.ge/27818)

<sup>18</sup> წყარო: შპს „მატექს ჯორჯია“-ის წლიური ანგარიში, 2020 წ.; იხ. ბმული: [14608 \(reportal.ge\)](https://reportal.ge/14608)

<sup>19</sup> წყარო: შპს „მეტრომარტ“-ის წლიური ანგარიში, 2020 წ.; იხ. ბმული: [30112 \(reportal.ge\)](https://reportal.ge/30112)

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ბაზარი თითქმის სრულად იმპორტირებული რადიო აპარატურით არის წარმოდგენილი. დღეს ბაზარზე მოქმედი კომპანიების შეფასებით, ბაზრის მდგრადობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, მნიშვნელოვანია ის ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები, რაც ძირითად გავლენას ახდენს, როგორც ადგილობრივ მწარმოებლებზე, ასევე, იმპორტიორებზე. კერძოდ, რადიო აპარატურის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ეკონომიკური მდგომარეობა, გაცვლითი კურსის ცვლილება, სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. იმპორტიორების მიერ სავალუტო რისკი რადიო აპარატურის ბაზრის ყველაზე დიდ რისკად სახელდება, რადგან ფასების სტაბილურობა დამოკიდებულია გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, კონსულტაციების პროცესში, იმპორტიორების მხრიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა დასახელდა.

- ✓ **იმპორტირებულ რადიო აპარატურაზე/მის შეფუთვაზე ქართულ ენაზე იმპორტიორის შესახებ ინფორმაციის დატანა და ინსტრუქციის დართვა.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მსხვილი იმპორტიორების ნაწილი აცხადებს, მაგალითად, კომპანია „ელიტელექტრონიქსი“, რომ მათ მიერ იმპორტირებულ გარკვეულ პროდუქციას უკვე აქვს თანდართული შესაბამისი ინფორმაცია ქართულ ენაზე. ასევე, მათი შეფასებით, რეგულაციის შემოღების შემდეგ, შესაძლებელი იქნება რომ გარკვეულმა (მსხვილმა) ბრენდებმა, უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის ქართულ ენაზე მომზადება და განთავსება, თუმცა ცხადია აღნიშნული ხარჯი იმპორტიორების მიერ იქნება გასაწევი, რაც გააძვირებს პროდუქტს. ამასთან, კომპანიაში აღნიშნავენ, რომ პროდუქტის შეფუთვაზე იმპორტიორის შესახებ ინფორმაციის დატანა მხოლოდ ფინანსურ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. აღნიშნულ შემთხვევაში ქარხნებმა კონკრეტულად დამკვეთი კომპანიისთვის უნდა აწარმოოს პროდუქცია, რაც გულისხმობს მინიმალური შეკვეთის რაოდენობების გაზრდას. **კომპანიის შეფასებით, რეგულაციებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ ასორტიმენტის ნაწილი გაქრება დახლებიდან.** ასევე, კომპანიაში აცხადებენ, რომ მათ პორტფელში შედის სხვა დისტრიბუტორებისგან შეძენილი პროდუქციაც. ამ შემთხვევაში შედარებით მცირე სადისტრიბუტორო კომპანიებს განსაკუთრებით დიდ ტვირთად დააწვებათ სტანდარტებთან შესაბამისობა, რაც ადგილობრივ ბაზარზე გავლენას იქონიებს ასორტიმენტის შემცირების და ფასების ზრდის თვალსაზრისით.

დისტრიბუტორი კომპანიები აღნიშნავენ, იქნება პროდუქცია, რომელზეც მწარმოებელი უარს იტყვის ქართულენოვანი ინსტრუქციის დართვაზე, პროდუქციის

მცირე რაოდენობის გამო. აღნიშნულ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ კონკრეტული პროდუქტების იმპორტი აღარ განხორციელდება, ან იმპორტიორს მოუწევს თავისი ძალებით თარგმნოს, დაბეჭდოს და კუსტარულად გააყოლოს ნივთს ქართულ ენაზე დაბეჭდილი ინსტრუქცია.

კომპანია „ალტა“-ში აღნიშნავენ, რომ საქართველოს ბაზარი მცირეა და მომწოდებლები, გარკვეულ შემთხვევებში, უარს აცხადებენ პროდუქციაზე ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსების შესახებ. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული სახის რადიო აპარატურის (მათ შორის, უახლესი მოდელის ფიჭური სატელეფონო აპარატურის) იმპორტი ხორციელდება დილერების საშუალებით, აღნიშნული კი პრაქტიკულად გამორიცხავს მწარმოებლის მიერ შესაბამისობის შეფასების დოკუმენტაციის, მწარმოებლის შესახებ ინფორმაციის და ინსტრუქციების ქართულ ენაზე მოწოდებას. შესაბამისად, ინსტრუქციის თარგმნა და მონაცემების დატანა პროდუქციაზე თავად იმპორტიორების ვალდებულება გახდება, რაც ცხადია დამატებითი ხარჯი იქნება იმპორტიორებისთვის და გავლენას იქონიებს პროდუქციის ფასებზე.

✓ **პროდუქტის განბაჟებისას პროდუქტზე ქართულ ენაზე ინსტრუქციის დართვის ვალდებულება**

იმპორტიორთა შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საბაჟო საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქციის დაშვებისას არ შექმნას დამაბრკოლებელი ბარიერი და არ იქნას დაწესებული მოთხოვნა პროდუქტის განბაჟებამდე რადიო აპარატურაზე შესაბამისი ინფორმაციისა და ინსტრუქციის ქართულ ენაზე დართვა. იმპორტიორს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ უშუალოდ თავის საწყობში, პროდუქციის ტრანსპორტირების შემდგომ განხორციელოს საქონელზე შესაბამისი ინფორმაციის და ინსტრუქციის დართვა. იმ შემთხვევაში თუ იმპორტიორს არ მიეცემა აღნიშნული შესაძლებლობა, მოუწევს საბაჟო საწყობის ქირაობა და ინფორმაციის საბაჟო საწყობში დატანა, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

✓ **ინგლისურენოვანი შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე ტვირთის დაშვება**

კონსულტაციების პროცესში იმპორტიორებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევენ, საბაჟო ქვეყნის ტერიტორიაზე დაუშვას ტვირთი ინგლისურენოვანი შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე და არ იყოს მოთხოვნილი ქართულად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული სერტიფიკატი თითოეული პროდუქტისათვის. მაგალითად, ტვირთის განბაჟებისას შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ინგლისურ ენაზე წარმოდგენა დასაშვებია აირად

საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ასევე, ვინაიდან იმპორტიორს დაეკისრება უშუალოდ მწარმოებლის მიერ გამოცემული შესაბამისობის დეკლარაციის გარკვეული ვადით (სავარაუდოდ 10 წლით, რასაც საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს) შენახვა და აღნიშნული დეკლარაციის მონაცემები, როგორც წესი არის მოცულობითი, მიზანშეწონილია, რომ არ იყოს მოთხოვნა მათი ქართულად თარგმნის შესახებ და დაშვებული იყოს, მათი ინგლისურ ენაზე შენახვა.

*სამინისტროს კომენტარი:* აღსანიშნავია, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ თანახმად, სავარაუდო საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზარზე განთავსებისას „მიღებული, აღიარებული ან ეკვივალენტად ცნობილი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე განთავსება შესაძლებელია პროდუქტის წარმოშობის ქვეყანაში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. [...] სასამართლო დავის შემთხვევაში აღიარებულ ტექნიკურ რეგლამენტს დაინტერესებული მხარე თარგმნის ქართულ ენაზე“<sup>20</sup>.

ამასთან, კოდექსის თანახმად, „პროდუქტის უსაფრთხოების სათანადო სტანდარტებისა და განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში დადგენილი წესით გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულად ითვლება დამატებითი პროცედურების გარეშე. ასეთ შემთხვევაში შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით. ასეთი ქვეყნების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა“<sup>21</sup>.

*შენიშვნა:* საგულისხმოა, რომ კონსულტაციების პროცესში იმპორტიორების, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ, მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა იმპორტირებულ რადიო აპარატურაზე შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ქართულ ენაზე დართვა.

კვლევის პროცესში ინდენტიფიცირებული პრობლემის საპასუხოდ, სამინისტროს მიერ დამატებით იქნა განხილული აღნიშნული საკითხი, შეფასდა აღნიშნული ნორმის შემოღების ფისკალური ტვირთი და მისი გავლენა ბიზნეს სუბიექტებზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესზე. კერძოდ, სამინისტროს მიერ შეფასდა

<sup>20</sup> „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, მუხლი 62 (2,4); იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/document/view/1659419?publication=34>

<sup>21</sup> იქვე: მუხლი 92 (1);

ბიზნესისთვის აღნიშნულ ნორმასთან შესაბამისობის სტანდარტული ხარჯები და შედეგად, ბიზნეს სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით, შეიცვალა ტექნიკური რეგლამენტის პირველადი ვერსიით გათვალისწინებული მოთხოვნები.

შედეგად, ახალი რედაქციით, ეკონომიკური ოპერატორების მიერ იმპორტირებულ პროდუქციაზე შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნას პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენისათვის გათვალისწინებულ ენაზე. ამასთან დაკონკრეტდა, რომ რადიო მოწყობილობის იმპორტის შემთხვევაში, იმპორტიორი და დისტრიბუტორი, ვალდებულია პროდუქციას თან დაურთოს მწარმოებლის მიერ შედგენილი ინსტრუქცია და უსაფრთხოების ინფორმაცია და ამასთან, მხოლოდ უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ქართულ ენაზე თარგმნილი.

#### ✓ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების აღიარება

იმპორტიორთა შეფასებით, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N50 დადგენილების სრულყოფა „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“. იმპორტიორებმა აღნიშნეს, რომ დადგენილება განსაზღვრავს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა რეგლამენტები და შემფასებელი ორგანოები საქართველოში სამოქმედოდ არის დაშვებული და ამ ქვეყნების სიაში არ არის უკრაინა, თურქეთი და ჩინეთი. შესაბამისად, იმპორტიორის გადამისამართება ხდება შესაბამის ქვეყნებთან გაფორმებულ ორმხრივ შეთანხმებებზე, რაც ქმნის დამატებით გაურკვევლობებს და ხელს უშლის იმპორტიორს საქონლის თავისუფლად შეკვეთის პროცესში.

ამასთან, იმპორტიორების განცხადებით, საქართველოს ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის ნაწილს აქვს EAC სტანდარტი<sup>22</sup>, რაც პოსტსაბჭოთა სივრცის 5 ქვეყნის საბაჟო კავშირის ფარგლებში მოქმედებს - რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, სომხეთი და ყირგიზეთი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში რუსეთი რადიო მოწყობილობის

<sup>22</sup> შენიშვნა: EAC stands for EurAsian Conformity; იხ. ბმული: <https://wwg.eu.com/news-blog/what-is-eac-certificate/>



მეორე უმსხვილესი იმპორტიორია, რომლის წილი რადიო მოწყობილობის იმპორტის 17%-ს შეადგენს. შესაბამისად, იმპორტიორების მიერ დასმული იქნა EAC სტანდარტის აღიარების შესაძლებლობის საკითხი.

### III. მიზნები

დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, საჯარო და კერძო სექტორის, ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, განისაზღვრა ზოგადი და კონკრეტული მიზნები.

#### ზოგადი მიზანი

ქვეყანაში ისეთი რადიო მოწყობილობის განთავსება, რომ დაცული იყოს ადამიანებისა და შინაური ცხოველების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, აგრეთვე, დაცული იყოს პირთა საკუთრება და გარემო მავნე ზეგავლენისგან.

#### კონკრეტული და საოპერაციო მიზნები

- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი რადიო აპარატურის ტექნიკური რეგლამენტის მიღება;
- შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციის უზრუნველყოფა;
- შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მონიტორინგის სისტემის შემუშავება;
- ბაზარზე განთავსებული პროდუქციის მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება.

## IV. პოლიტიკის ალტერნატივები

პრობლემის ანალიზისა და მიზნების განსაზღვრის შემდეგ, განხილული იქნა პოლიტიკის რამდენიმე ალტერნატივა. კვლევის აღნიშნულ ნაწილში შერჩეული იქნა ორი პოლიტიკის ალტერნატივა.

### ალტერნატივა 1. მარეგულირებელი ნორმის მიღება დირექტივის განსახორციელებლად

პირველი ალტერნატივა ითვალისწინებს რადიო მოწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიღებას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის №2014/53/EC დირექტივასთან. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მიღებამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების სტანდარტის დაწესება და შედეგად, ბაზარზე მხოლოდ ისეთი პროდუქციის განთავსება, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ სტანდარტებს.

ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ეკონომიკური ოპერატორის ცნებას, რომლის მიხედვითაც რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულებები ეკისრებათ რადიო მოწყობილობის მწარმოებელს, დისტრიბუტორს, იმპორტიორს და ავტორიზებულ წარმომადგენელს.

**მწარმოებელი** არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამზადებს ან ამზადებინებს და თავისი სახელით ან სავაჭრო ნიშნით რეალიზებას უწყევს რადიო მოწყობილობას. რეგლამენტის მიხედვით მწარმოებელს ეკისრება ვალდებულება რადიო მოწყობილობის დამზადება და წარმოება უზრუნველყოს იმ ძირითადი მოთხოვნების დაცვით, რაც გულისხმობს, რომ რადიო მოწყობილობა 1) ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მავნე ზეგავლენას არ მოახდინოს ადამიანებისა და შინაური ცხოველების ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე; 2) დაცული იყოს საკუთრება და გარემო მავნე ზეგავლენისგან; 3) უზრუნველყოს ელექტრომაგნიტური თავსებადობის სათანადო დონე; 4) უნდა უზრუნველყოფდეს რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტურად გამოყენებას, საზიანო ჩარევის თავიდან აცილების მიზნით.

მწარმოებელი ადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს რადიო მოწყობილობის შესაბამისობის შეფასების პროცედურას დადგენილი წესით, ამზადებს შესაბამისობის დეკლარაციას და უზრუნველყოფს მათ შენახვას რადიო მოწყობილობის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. ამასთან, მწარმოებელს უჩნდება ვალდებულება რადიო მოწყობილობის წარმოებისას უზრუნველყოს აპარატურის ყველა ტექნიკური პარამეტრის დადგენა, ხოლო



საჭიროების შემთხვევაში ნიმუშების ტესტირება. ასევე, მწარმოებელმა რადიო მოწყობილობას უნდა დაურთოს უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია და ინსტრუქციები ქართულ ენაზე, ასევე, შეფუთვაზე ან თანხმლებ დოკუმენტაციაში, უნდა მიუთითოს საკუთარი დასახელება, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და მისამართი, კონკრეტული ადგილის მითითებით, სადაც შესაძლებელია მწარმოებელთან დაკავშირება. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ აპარატურას თან ახლდეს შესაბამისობის დეკლარაციის ან გამარტივებული შესაბამისობის დეკლარაციის ასლი. რეგლამენტი განსაზღვრავს მწარმოებლის ვალდებულებას ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან.

**ავტორიზებული წარმომადგენელი** არის საქართველოში შესაბამისი ფორმით დარეგისტრირებული, ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მწარმოებლის მიერ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, რომ იმოქმედოს მისი სახელით სპეციალური დავალებების შესასრულებლად. ავტორიზებულ წარმომადგენელს რეგლამენტის თანახმად ეკისრება ვალდებულებები, რომლის შესაბამისად, მას ნიშნავს მწარმოებელი წერილობითი მინდობილობის საფუძველზე და მოქმედებს შესაბამისი მანდატის ფარგლებში. ავტორიზებულმა წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის და შესაბამისობის დეკლარაციის 10 წლის განმავლობაში შენახვა. ასევე, თანამშრომლობს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან, კერძოდ, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის მას ყველა საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტაციას, ამასთან, თანამშრომლობს ბაზარზე განთავსებული რადიო მოწყობილობის მიერ შექმნილი რისკების აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით ავტორიზებული წარმომადგენლის წერილობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

**იმპორტიორი** არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს რადიო მოწყობილობის სხვა ქვეყნიდან საქართველოს ბაზარზე განთავსებას. იმპორტიორს ეკისრება ვალდებულება რადიო მოწყობილობის ბაზარზე განთავსებამდე, დარწმუნდეს, რომ მწარმოებლის მიერ ჩატარებულია ყველა შესაბამისი პროცედურა და აპარატურაზე თანდართულია ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია. თუ რადიო მოწყობილობა არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებს, იმპორტიორი ვალდებულია არ განათავსოს რადიო მოწყობილობა ბაზარზე, ხოლო რისკის შემცველი აპარატურის თაობაზე უნდა აცნობოს მწარმოებელს და ბაზარზე ზედამხედველ ორგანოს. ამასთან, იმპორტიორი გარკვეულ შემთხვევებში ვალდებულია აწარმოოს ბაზარზე განთავსებული აპარატურის ტესტირება, გამოკვლევა და შეუსაბამო რადიო მოწყობილობის და გამოთხოვილი რადიო

მოწყობილობის საჩივრების რეესტრის წარმოება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს განთავსებული რადიოაპარატურის ბაზრიდან გამოთხოვა/ამოღება. იმპორტიორი ვალდებულია შეინახოს შესაბამისობის დეკლარაციის ასლი და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია 10 წლის განმავლობაში, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას ყველა საჭირო დოკუმენტაცია. ამასთან, იმპორტიორი ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან, ყველა იმ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც მიმართულია მის მიერ ბაზარზე განთავსებული რადიო მოწყობილობისგან შექმნილი რისკების აღმოსაფხვრელად.

**დისტრიბუტორი** არის პროდუქტის მიწოდების ჯაჭვში ჩართული ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენს მწარმოებელს და იმპორტიორს და რომელიც ხელმისაწვდომს ხდის რადიო მოწყობილობას ბაზარზე. დისტრიბუტორი ვალდებულია რადიო მოწყობილობის ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფამდე დარწმუნდეს, რომ რადიო მოწყობილობაზე დატანილია შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი და თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია. დისტრიბუტორი, ასევე, ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მწარმოებელი და იმპორტიორი აკმაყოფილებენ რეგლამენტით მათთვის დადგენილ მოთხოვნებს. მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, დისტრიბუტორი ვალდებულია უზრუნველყოს რადიო მოწყობილობის ტრანსპორტირების და შენახვის შესაბამისი პირობები, ითანამშრომლოს ზედამხედველ ორგანოსთან და მისივე მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს რადიო მოწყობილობის ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ამდენად, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება ეკონომიკურ ოპერატორს, რომლის ზედამხედველობას განახორციელებს ზედამხედველი ორგანო.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ დღის წესრიგში დგას „დაბალი ძაბვის (LVD)“ 2014 წლის 26 თებერვლის 2014/35/EU დირექტივის რეგულირების ქვეშ მოქცეულ ელექტრო მოწყობილობებზე ზედამხედველობა და ასევე, ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ დირექტივაზე (EMC) ზედამხედველობის საკითხი. ამდენად, აღნიშნული სამი დირექტივა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, კერძოდ:

- ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ დირექტივით დადგენილი ძირითადი მოთხოვნები ასახულია რადიო აპარატურის შესახებ დირექტივაშიც;

- ელექტრომაგნიტური დარღვევების საფუძველზე ფუნქციონალური უსაფრთხოების ასპექტები რეგულირდება LVD დირექტივითაც;
- ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარები აღარ ექცევა რადიო აპარატურის შესახებ დირექტივის ფარგლებში და იგი მოცულია EMC (2014/30/EU) და LVD (2014/35/EU) დირექტივებით. ამასთანავე, ელექტრომაგნიტური თავსებადობის დირექტივის მიზნებისთვის, ფიქსირებულ რადიო აპარატურას წარმოადგენს მხოლოდ ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო დანადგარები.

აღნიშნული 3 დირექტივით, შესაძლოა მოცული იქნას ერთი და იგივე პროდუქტი, იმ განსხვავებით, რომ სხვადასხვა სიხშირეზე ფუნქციონირებდეს.

*მაგალითისთვის, დრონები, მხოლოდ მაშინ ექცევა რადიო აპარატურის შესახებ დირექტივის ქვეშ, თუ იგი ფუნქციონირებს 3000 გეგაჰერცამდე რადიოტალღებზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დრონის სიხშირული დიაპაზონი აღემატება 3000 გეგაჰერცს, იგი ექცევა ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ დირექტივის ფარგლებში.*

აღნიშნული 3 დირექტივა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რადგან მათ შორის რადიო აპარატურის მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები მოიცავს EMC დირექტივით და LVD დირექტივით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებს.

ამდენად, რადიო რეგლამენტის რეგულირების სფეროში მოქცეული იმ აპარატურის ზედამხედველობას, რომლის სიხშირული დიაპაზონი 3000 გეგაჰერცამდე რადიოტალღებს მოიცავს, განახორციელებს ზედამხედველი ორგანო.

ზედამხედველი ორგანო საქართველოს ორგანული კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც მას გაუჩნდება ეჭვის საფუძველი, რომ ტექნიკურ რეგლამენტის მოქმედების სფეროში შემავალი რადიო მოწყობილობა ქმნის რისკს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შემოწმების პროცესში, ზედამხედველი ორგანო აღმოაჩენს შეუსაბამობას, იგი ვალდებულია შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს რადიო მოწყობილობაზე შემფასებელი ორგანოს შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემების არარსებობის, ან არასწორად განთავსების შემთხვევასთან, არ ახლდეს, ან არასწორად იყოს შედგენილი დეკლარაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია არ იყოს ხელმისაწვდომი ან არასრულად იყოს წარმოდგენილი და სხვ.

თუ ეკონომიკური ოპერატორი ზედამხედველი ორგანოს მიერ გაცემულ რეკომენდაციას არ შეასრულებს და არ აღმოფხვრის შეუსაბამობას, ზედამხედველი ორგანო ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები, რათა შეიზღუდოს ან აიკრძალოს ამგვარი რადიო მოწყობილობის ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფა, ხოლო რადიო მოწყობილობა, რომელიც უკვე ხელმისაწვდომია ბაზარზე, გამოთხოვილ ან/და ამოღებულ იქნას ბაზრიდან.

მწარმოებელი ვალდებულია პროდუქციის ბაზარზე განთავსებამდე მოახდინოს მისი შესაბამისობის შეფასება ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ძირითად მოთხოვნებთან. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტისთვის მოთხოვნები დადგენილია შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტით და მწარმოებელი იყენებს ამ უკანასკნელს, მას აქვს შესაძლებლობა აღნიშნული განახორციელოს თვითდეკლარირების (შიდა საწარმოო კონტროლის) საფუძველზე<sup>23</sup>.

*შენიშვნა: შიდა საწარმოო კონტროლი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ასრულებს განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს მისთვის ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ მოთხოვნებს.*

იმ შემთხვევაში, თუ რადიო მოწყობილობის წარმოების პროცესში არ არის გამოყენებული ევროპული ჰარმონიზებული სტანდარტები ან გამოიყენება ნაწილობრივ, აღნიშნული პროდუქტი ექვემდებარება შესაბამისობის შეფასებას.

აღნიშნულ შეფასებას მწარმოებელი ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც საქართველოში აკრედიტირებული შემფასებელი ორგანო, ისე ევროკავშირისა და OECD-ის ქვეყნებში აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანო, რომლებიც შემდგომში რეგისტრირდებიან აკრედიტაციის ცენტრში.

რეგლამენტი განსაზღვრავს შემფასებელი ორგანოს უფლება-მოვალეობებს, კერძოდ, შესაბამისობის შემფასებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი მესამე პირი, რომელიც ჩართული არ უნდა იყოს რადიო მოწყობილობის დაპროექტების/წარმოების პროცესში, ასევე, არ უნდა იყოს მწარმოებელი, მიმწოდებელი, მემონტაჟე, მყიდველი, მესაკუთრე, მომხმარებელი ან მომსახურების გამწვევი, რომელსაც თავად აფასებს და სხვ.

<sup>23</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მაისის N134 დადგენილება „შესაბამისობის შეფასების მოდულების, ქვემოდულების და მათთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრის შესახებ“; იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1936749?publication=0>

## ალტერნატივა 2. არამარეგულირებელი მიდგომა

მეორე ალტერნატივად განხილული იქნა არამარეგულირებელი მიდგომა, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა ნებაყოფლობითობის პრინციპით უზრუნველყოფილიყო ეკონომიკური ოპერატორების მხრიდან ბაზარზე განთავსებული რადიო აპარატურაზე ტექნიკური დოკუმენტაციის, შესაბამისი ინსტრუქციების ქართულ ენაზე დართვა.

მეორე ალტერნატივა, პირველი ალტერნატივისგან განსხვავებით, არ დააწესებდა შესაბამისობის შეფასების ვალდებულებას.

შედეგად, შემოთავაზებული მეორე ალტერნატივა უარყოფილი იქნა, რადგან მოთხოვნების ნებაყოფლობითობა არ შექმნიდა სტანდარტების სავალდებულოდ დანერგვის შესაძლებლობას, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასთან.

## V. ზეგავლენის შეფასება

რეფორმის ზეგავლენის ეფექტების შესწავლა მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის იდენტიფიცირებისთვის, რომელიც იქნება მდგრადი და ეფექტიანი. ასევე, მნიშვნელოვანია რაოდენობრივად იქნას შესწავლილი შემოთავაზებული პოლიტიკის ზეგავლენა საზოგადოებასა და ეკონომიკაზე.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ნაწილში, ემპირიულ და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, შეფასდა თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი სარგებელი და დანახარჯი 2024-2031 წლებისთვის.

მოცემული კვლევის მრავალკრიტერიუმის ანალიზის ნაწილში პოლიტიკის ალტერნატივები შეფასდა ეფექტიანობის, ეკონომიკური, სოციალური, გარემოზე ზეგავლენის და განხორციელების კრიტერიუმების მიხედვით.

შემოთავაზებული ალტერნატივების მოსალოდნელი ეფექტის შეფასებისთვის და შედეგად, უპირატესი ვარიანტის გამოსავლენად, მოვახდენთ შესაბამისი სარგებლისა და ხარჯის შეფასებას ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის (CBA) და მრავალკრიტერიუმის ანალიზის მეთოდით.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მეთოდის გამოყენებით შეფასდა ალტერნატივების განხორციელებისთვის საჭირო დანახარჯები და შედეგად მიღებული სარგებელი, როგორცაა ინვესტიციები და საბიუჯეტო შემოსავლები.

დანახარჯების შეფასებისთვის გამოყენებული იქნა სტანდარტული ხარჯების მოდელი, რომელშიც შეფასება განხორციელდა ორი მიმართულებით, კერძოდ, ახალი რეგულაციის შესაბამისობის დანახარჯი ზედამხედველი ორგანოს და შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციისა და აკრედიტებული პირების მონიტორინგის მიმართულებით დანახარჯი.

### ხარჯ-სარგებლის ანალიზი

ხარჯ-სარგებლის ანალიზის ნაწილში, თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი სარგებელი და დანახარჯები შეფასდა წმინდა მიმდინარე ღირებულებით (NPV), სადაც დისკონტირების განაკვეთად აღებული იქნა საპროცენტო განაკვეთები 10 წლიან სახელმწიფო ობლიგაციებზე<sup>24</sup> (ბოლო 3 წლის საშუალო - 9.07%) შესწორებული

<sup>24</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი “საპროცენტო განაკვეთები ფულად და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე”, ოქტომბერი, 2021 წელი. იხ. ბმული: [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

სამიზნე ინფლაციით, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად 3%-ს შეადგენს. ამდენად რეალური დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 5.89%-ს, ინფლაციის დონის გათვალისწინებით.

## პირველი ალტერნატივის ზეგავლენის შეფასება

### 1. ზედამხედველი ორგანო

ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება ზედამხედველ ორგანოს, რომლის მიერ აღნიშნული მიმართულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, გამოიკვეთა დამატებითი ადამიანური რესურსების საჭიროება, რაც ცხადია, ადმინისტრაციულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

კვლევის შედეგად, ორგანოს მიერ საჭირო გახდება 5 თანამშრომელი, რომელთა კვალიფიკაციის, ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფისთვის პირველივე წელს საჭირო დანახარჯი 264,3 ათას ლარს მიაღწევს, ხოლო ყოველ მომდევნო წელს დანახარჯი დაახლოებით 153 ათას ლარს გადააჭარბებს. ამდენად, 8 წლიან პერიოდში ზედამხედველი ორგანოსთვის შესაბამისობის დანახარჯი ნომინალში დაახლოებით 1,347.4 ათას ლარს გაუტოლდება.

### 2. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო

როგორ უკვე აღნიშნეთ, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს აკრედიტაციას ახორციელებს სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციისა და აკრედიტებული პირების მონიტორინგის სამუშაოების მომსახურების ხარჯების შეფასებისთვის დაშვება ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №301 დადგენილებას „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“<sup>25</sup>.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციისა და აკრედიტებული პირების მონიტორინგის მომსახურების დანახარჯი შემდეგი კომპონენტების

<sup>25</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება, 4.08.2011წ. იხ. ბმული: <https://gac.gov.ge/upload/about/8474844a304d11901f590c4d0bfdee73.pdf>



მიხედვით შეფასდა, როგორცაა: ლაბორატორიის აკრედიტაცია და აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი.

#### ლაბორატორიის აკრედიტაციის დანახარჯი

$$H = A + B + T$$

სადაც:

- ✓ A არის დაინტერესებული მხარის მიერ ცენტრში აკრედიტაციისათვის შეტანილი განაცხადის განხილვის საფასური;
- ✓ B არის ძირითადი საფასური;
- ✓ T არის ტექნიკური შემფასებლის (ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტის) ანაზღაურება, თავის მხრივ  $T=100+15xN$

#### აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი

$$H = B + T$$

სადაც:

- ✓ B არის ძირითადი საფასური;
- ✓ T არის ტექნიკური შემფასებლის (ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტის) ანაზღაურება, თავის მხრივ  $T=100+15xN$

იმ დაშვებით, თუ ბაზარზე 1 შესაბამისობის შემფასებელი ორგანო იქნება აკრედიტირებული, ლაბორატორიის აკრედიტაციის ღირებულება (1 ციკლის ფარგლებში) 3,115 ლარს შეადგენს, ხოლო ლაბორატორიის მონიტორინგი - 5,745 ლარს.

*შენიშვნა: აკრედიტაცია გაიცემა 4 წლის ვადით, რომლის ფარგლებშიც 1 ციკლის პერიოდში 3 შეფასება ხორციელდება.*

ჯამში 8-წლიან პერიოდში (2024-2031) შშო-სთვის შესაბამისობის დანახარჯი ნომინალში 17,720 ლარს შეადგენს.

შშო-სთვის შესაბამისობის დანახარჯი წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლებს, რაც დადებითად აისახება ფისკალურ ნაწილზე.

### 3. მარეგულირებელი პოლიტიკის ზეგავლენა ინვესტიციებზე

ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან წყაროს ინვესტიციები წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის ფორმირებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ნოუ-

ჰაუს შემოტანას და ხელს უწყობს დასაქმებასა და სამუშაო ძალის განვითარებას, ასევე, ზრდის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სახით.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს სწორედ ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს და მიმზიდველი საინვესტიციო პირობების ფორმირება წარმოადგენს. ამ მიმართულებით ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა, რაც აღიარებული იქნა და დადებითად შეფასდა სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგსა თუ ანგარიშში. მსოფლიო ბანკის “ბიზნესის კეთების”<sup>26</sup> რეიტინგში 2020 წელს მთლიან მოგებაში მთლიანი საგადასახადო ტვირთის წილის მიხედვით, რომელიც 9.9%-ს შეადგენს, საქართველო მე-3 პოზიციაზეა. აღნიშნული წარმატება საგადასახადო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობა. სწორედ ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს, ლიბერალურ საგადასახადო სისტემას აქვს პოტენციალი რომ მოახდინოს გავლენა როგორც ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვაზე, ასევე უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების დონეზე.

პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, რადიო მოწყობილობისთვის შესაბამისობის შეფასების პროცედურების განხორციელების მოთხოვნის გაჩენა ხელს შეუწყობს შესაბამისი მიმართულებით ინვესტიციების განხორციელებას.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ქვეყანაში არ არსებობს მსგავსი ტიპის ლაბორატორიები, რთულია შეფასდეს მისი საინვესტიციო ღირებულება, თუმცა ცხადია, ახალი ლაბორატორიის შექმნა ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ყოველივე კი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას შექმნის.

### **პირველი ალტერნატივის რაოდენობრივი ზეგავლენა**

შეჯამების სახით, პირველი ალტერნატივის **წმინდა მიმდინარე სარგებელი (NPB) 8 წლიან პერიოდში 130,2 მლნ. ლარს** გაუტოლდება. აღნიშნული სარგებელი მოიცავს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ ლაბორატორიის აკრედიტაციის და ლაბორატორიის მონიტორინგიდან მიღებულ შემოსავალს, ასევე, ზედამხედველი ორგანოში დასაქმებულთა მიერ საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულ სარგებელს.

<sup>26</sup> World Bank “Doing Business 2020” <https://www.doingbusiness.org/en/doingbusiness>

პირველი ალტერნატივის წმიდა მიმდინარე დანახარჯი (NPC), რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ ხარჯებს მოიცავს, აღნიშნულ პერიოდში **952,7 მლნ. ლარს** გაუტოლდება. ხარჯების ნაწილი მოიცავს ზედამხედველი ორგანოს მიერ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯებს, ტრენინგებს, საოფისე და ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯებს (*ზედამხედველი ორგანოს ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. დანართი 1: ცხრილი N8*).

შედეგად, პირველი ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) უარყოფითია (*სარგებელს გამოკლებული დანახარჯი*) და სულ **822,5 მლნ. ლარს** შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია პირველი ალტერნატივის ხარჯ-სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულება.

ცხრილი 5. პირველი ალტერნატივის წმინდა ხარჯ-სარგებელი (ათასი ლარი)

	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031
სარგებელი (NPB)	20.5	18.4	17.3	16.4	16.3	14.6	13.8	13.0
ხარჯი (NPC)	222.6	121.9	115.1	108.7	109.4	97.0	91.6	86.5
<b>ხარჯ-სარგებელი (NPV)</b>	<b>(202.1)</b>	<b>(103.6)</b>	<b>(97.8)</b>	<b>(92.4)</b>	<b>(93.1)</b>	<b>(82.4)</b>	<b>(77.8)</b>	<b>(73.4)</b>

### მეორე ალტერნატივის ზეგავლენის შეფასება

მეორე ალტერნატივის ზეგავლენის შეფასება განხორციელდა მხოლოდ თვისებრივი ანალიზით, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე ალტერნატივა, პირველი ალტერნატივისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს შესაბამისობის შეფასების ვალდებულებას და მხოლოდ ნებაყოფლობითობაზეა დაფუძნებული.

უფრო დეტალურად კი, მეორე ალტერნატივა, მინიმუმამდე ამცირებს ახალი ლაბორატორიების შექმნის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ, არ ქმნის ამ მიმართულებით ინვესტიციების განხორციელების საჭიროებას. ასევე, არ წარმოიშვება აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამისი ლაბორატორიების აკრედიტაციის და აკრედიტირებული ლაბორატორიების მონიტორინგის საჭიროება. ყოველივე აღნიშნული კი პირდაპირ გულისხმობს ეკონომიკურ და ფისკალურ შემოსავლებზე ნულოვან გავლენას.

ასევე, პირველი სცენარისგან განსხვავებით, ბაზრის ზედამხედველობის მასშტაბი მცირეა, რაც დამატებითი ადამიანური რესურსების და სხვა ხარჯების საჭიროებას მინიმუმამდე ამცირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე ალტერნატივა შეფასდა მხოლოდ თვისებრივი ანალიზის მეთოდით, რომელიც დეტალურად არის წარმოდგენილი მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის ნაწილში.

## მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი


მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის პროცესში იდენტიფიცირებული ამოცანები და კრიტერიუმები, რომელიც კვლევების, შეფასებების, ანგარიშებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე დგინდება, როგორც წესი, ინფორმაციის საკმარისი წყაროა გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი მკაფიოდ გამოხატავს თითოეული ალტერნატივის უპირატესობას ან ნაკლოვანებას სხვადასხვა კრიტერიუმისთვის. იგი აჯამებს ზეგავლენის რაოდენობრივ, თვისობრივ და მონეტარულ შედეგებს და იძლევა ალტერნატივის სხვადასხვა კრიტერიუმით შეფასების შესაძლებლობას.

### შეფასების მეთოდოლოგია

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი აერთიანებს შერჩეული ვარიანტებით გამოწვეული ზემოქმედების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას. შემოთავაზებული პოლიტიკის ალტერნატივები შეფასდა მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების მიღების ანალიზის (MCDA) მიხედვით. თვისებრივი შეფასების ფარგლებში, თითოეული ალტერნატივა შეფასდა შემდეგი 5 კრიტერიუმის მიხედვით: ეფექტიანობა, ეკონომიკური, სოციალური, გარემოს დაცვა და განხორციელებადობა.

დიაგრამა 7. მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების მიღების ანალიზი (MCDM)



ალტერნატივების თვისებრივი შეფასების პირველ ეტაპზე ანალიტიკური იერარქიის პროცესის (Analytical Hierarchy Process, AHP) მეთოდის გამოყენებით დადგინდა კრიტერიუმების წონები. შეფასება განხორციელდა საატის (Saaty, 1980) დაწყვილებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე პრიორიტეტულობის სკალის მიხედვით 1-დან 10-მდე.<sup>27</sup>

კვლევაში თანმიმდევრულობის ინდექსმა (C.I) შეადგინა 0.079, ხოლო შეფასების უტყუარობის წილადმა 0.071, ამდენად  $CR=7.1\% < 10\%$ .

თავის მხრივ, პოლიტიკის თითოეული ალტერნატივა საბაზისო სცენართან მიმართებით შეფასდა ქულებით, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი ზეგავლენა და მნიშვნელობა უპირატესობის შკალაზე. შეფასება განხორციელდა -5-დან 5 ქულამდე, სადაც “-5” წარმოადგენს რეალურად ყველაზე ნაკლებად სასურველ ალტერნატივას, ხოლო “5” - ყველაზე მეტად სასურველს.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების, ლიტერატურისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეფასდა თითოეული ალტერნატივის ეფექტიანობა და მიზნებთან თავსებადობა. შედეგად, თითოეული თვისებრივი კრიტერიუმის წონის კოეფიციენტი გამრავლდა თითოეული ალტერნატივისთვის ამ კრიტერიუმში მინიჭებულ ქულაზე. საბოლოო შედეგის მისაღებად კი, დაჯამდა ყველა კრიტერიუმის მთლიანი შედეგები.

## ეფექტიანობა

რადიო მოწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიღების საჭიროება განპირობებულია ევროპის კავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე. შესაბამისად, დირექტივის მიღება ხელს შეუწყობს ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას და ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს.

## ეკონომიკური

პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, მწარმოებელი ვალდებულია სერიული წარმოებისას უზრუნველყოს რადიო მოწყობილობის შესაბამისობის შენარჩუნება. ასევე, მწარმოებელი, იმპორტიორი და დისტრიბუტორი ვალდებულია არიან დაიცვან

<sup>27</sup> საატის პრიორიტეტულობის სკალა: 1 - იგივე მნიშვნელობა; 3 - სუსტი უპირატესობა; 5 - ძლიერი უპირატესობა; 7 - გამოკვეთილი დომინირება; 9 - აბსოლუტური დომინირება; 2-4-6-8 - გარდამავალი მნიშვნელობები.

ის სტანდარტები და მოთხოვნები, რაც გულისხმობს ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას, შესაბამისობის დეკლარაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვას 10 წლის განმავლობაში (ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვის უზრუნველყოფა, ასევე, ეკისრება ავტორიზებულ წარმომადგენელს), ნიმუშების ტესტირებას, გამოკვლევას, რეესტრის წარმოებას, საიდენტიფიკაციო ნიშნების დატანას, უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ქართულ ენაზე თარგმნას, პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების დაცვას.

მეორე ალტერნატივის შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერატორი მხოლოდ ნებაყოფლობით უზრუნველყოფს ბაზარზე განთავსებული პროდუქციისთვის ტექნიკური დოკუმენტაციის და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ქართულ ენაზე დართვას.

მეორე ალტერნატივა, პირველი ალტერნატივისგან განსხვავებით, არ აწესებს შესაბამისობის შეფასების ვალდებულებას, რაც გამორიცხავს აღნიშნულ სფეროში ლაბორატორი(ებ)ის აკრედიტაციის და აკრედიტირებული ლაბორატორი(ებ)ის მონიტორინგის საჭიროებას. ამასთან, მეორე ალტერნატივის შემთხვევაში ინვესტიციების განხორციელება ფაქტობრივად არ განიხილება, რაც გამორიცხავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ახალი ინოვაციების და ტექნოლოგიების შემოტანის და დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

## სოციალური

პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, უსაფრთხო რადიო მოწყობილობის განთავსება და მოხმარება დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. დღეს, არაერთ სამეცნიერო კვლევაში ხაზგასმულია, რომ სამომხმარებლო ელექტრო ტექნიკა სხვადასხვა ხარისხით წარმოქმნის სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღებს. ელექტრომაგნიტური ტალღები უხილავი და არამატერიალურია, რაც თავის მხრივ, გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) შეფასებით, „თანამედროვე ელექტრომაგნიტური გამოსხივების ამჟამინდელი დონე და მისი გავლენა მოსახლეობაზე უფრო საშიშია, ვიდრე ნარჩენი ბირთვული მაიონებელი გამოსხივების ეფექტი“<sup>28</sup>.

მსოფლიოს მამტაბით მრავალი ექსპერიმენტული კვლევები ტარდება, სადაც შეფასებულია რადიოტალღების გავლენა იუმუნ, ნერვიულ, ენდოკრინულ სისტემაზე.

---

<sup>28</sup> წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია; იხ. ბმული: <https://www.who.int/news-room/factsheets/detail/ionizing-radiation-health-effects-and-protective-measures>



სწორედ ამიტომ, ბაზარზე უსაფრთხო პროდუქციის არსებობა ზრდის მომხმარებლის ნდობას და იცავს პირთა საკუთრებას.

თავის მხრივ, მეორე ალტერნატივა არ ცვლის/არ აუარესებს მოსახლეობის იმ სეგმენტის მდგომარეობას, რომლისთვისაც ხელმისაწვდომია მხოლოდ დაბალი ფასის პროდუქცია.

### გარემოსდაცვითი

უსაფრთხო რადიო მოწყობილობა იცავს შინაური ცხოველების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, აგრეთვე, გარემოს მავნე ზეგავლენისგან.

მეორე ალტერნატივა არ ცვლის, ან საშუალო და გრძელვადიან პერიოდში აუარესებს გარემოზე ზეგავლენას.

### განხორციელებადობა

განხორციელების თვალსაზრისით შეფასდა აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების ალბათობა.

ცხრილი 6. თვისებრივი ანალიზის შედეგი

კრიტერიუმი	წონები	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
ეფექტიანობა	35%	1.75	0.0
ეკონომიკური ზეგავლენა	35%	-0.70	0.0
სოციალური ზეგავლენა	19%	0.75	0.38
გარემოს დაცვა	4%	0.19	0.0
განხორციელება	7%	0.22	0.29
<b>ჯამი</b>	<b>100%</b>	<b>2.21</b>	<b>0.67</b>

## VI. ალტერნატივების შედარება

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე, პირველი ალტერნატივის წმინდა მიმდინარე სარგებელი (NPB) 8 წლიან პერიოდში **130,2 მლნ. ლარს** გაუტოლდება, ხოლო წმიდა მიმდინარე დანახარჯი (NPC), რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ ხარჯებს მოიცავს - **952,7 მლნ. ლარს**.

შედეგად, პირველი ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) 2024-2031 წლებში უარყოფითია და **822,5 მლნ. ლარს** შეადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტანდარტული ხარჯების შეფასებით, ზედამხედველო ორგანოს მიერ ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო იქნება ახალი თანამშრომლების აყვანა, მათი გადამზადება, ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და წინასწარი შეფასებით, დანახარჯი პირველივე წელს ნომინალში, საშუალოდ 264,3 ათას ლარს მიაღწევს.

პირველი ალტერნატივა ზღუდავს ბაზარზე იმ პროდუქციის დაშვებას, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ სტანდარტებთან. ამასთან, ახალი ნორმის ამოქმედება, გარკვეულწილად გამოიწვევს მწარმოებელთა, იმპორტიორთა და დისტრიბუტორთა დანახარჯების მცირედით ზრდას, მაგალითად, როგორცაა უსაფრთხოების ინსტრუქციების ქართულ ენაზე მომზადება/თარგმნა.

აღსანიშნავია, რომ პირველადი ვერსია, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რიგ საკითხებთან ერთად, შესაბამისობის დეკლარაციის ქართულ ენაზე თარგმნის ვალდებულებასაც, მეწარმეთა შეფასებით გამოიწვევდა იმპორტიორთა და დისტრიბუტორთა დანახარჯების ზრდას. მაგალითად, იმპორტიორთა შეფასებით, მხოლოდ ინსტრუქციების ქართულ ენაზე თარგმნის ვალდებულება რადიო აპარატურის ღირებულებას დაახლოებით 5-10%-ით გააძვირებდა. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი რედაქციით, ქართულ ენაზე მომზადების/თარგმნის ვალდებულება მხოლოდ უსაფრთხოების ინსტრუქციებზე გავრცელდება, აღნიშნული მხოლოდ მცირე გავლენას იქონიებს ეკონომიკურ ოპერატორებზე.

ამასთან, ადგილობრივი მწარმოებლების შეფასებით, ახალი რეგულაცია გავლენას იქონიებს ადგილობრივ წარმოებაზე და მოკლევადიან პერიოდში უარყოფითად აისახება მათზე. მწარმოებლების მიერ საჭირო გახდება დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზება, რათა შეძლონ აღნიშნული სტანდარტებთან შესაბამისობა და გააგრძელონ ბაზარზე ოპერირება.

თუმცა, მეორეს მხრივ, ევროპული სტანდარტების დანერგვა, შესაძლოა განხილული იქნას როგორ ადგილობრივი წარმოების ზრდის, ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისების შესაძლებლობა, რაც მომავალში უნდა გახდეს მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი ქვეყანაში ახალი ინვესტიციების მოზიდვის, ახალი ტექნოლოგიების და ნოუ-ჰაუს დანერგვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და შედეგად, დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების თვალსაზრისით.

რაც შეეხება თვისებრივი ანალიზის შედეგებს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ალტერნატივა ეკონომიკური თვალსაზრისით **ბიზნესისთვის წარმოქმნის მცირე, მაგრამ მაინც დამატებით ფინანსურ ტვირთს** და ამასთან, შედარებით უხარისხო და ნაკლებად უსაფრთხო პროდუქციაზე წვდომის შეზღუდვა უარყოფითად აისახება მოსახლეობის იმ სეგმენტზე, რომლისთვისაც ხელმისაწვდომია მხოლოდ დაბალი ფასის პროდუქცია, პირველ ალტერნატივას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს მეორე ალტერნატივასთან მიმართებით. აღნიშნული გამოიხატება ერთის მხრივ, საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში და მეორეს მხრივ, მოსახლეობისთვის უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებით და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებით.

**ცხრილი 7: ალტერნატივების ზეგავლენის შეჯამება**

ზეგავლენა	პირდაპირი / არაპირდაპირი	ჯგუფ(ებ)ი რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა	მოსალოდნელი შედეგების შეფასება	შესაბამისი საზომი ინდიკატორ(ებ)ი	მოსალოდნელი ალტერნატივები ზეგავლენის ქვეშ მყოფი
ეფექტიანობა					
საერთაშორისო ვალდებულება	პირდაპირი	მთავრობა	დადებითი	შესრულებულია	ალტერნატივა 1
	პირდაპირი	მთავრობა	უარყოფითი	შეუსრულებელია	ალტერნატივა 2
ეკონომიკური					
შესაბამისობის ხარჯები	პირდაპირი	ბიზნეს სექტორი	უარყოფითი	გაზრდილია შესაბამისობის დანახარჯი	ალტერნატივა 1 უფრო მეტად, ვიდრე ალტერნატივა 2

რადიო მოწყობილობაზე ხელმისაწვდომობა	არაპირდაპირი	მომხმარებლები	უარყოფითი	გაზრდილია სამომხმარებლო ხარჯები	ალტერნატივა 1
<b>ფისკალური</b>					
საბიუჯეტო შემოსავლები	პირდაპირი/ არაპირდაპირი	ხაზინა	დადებითი	გაზრდილია საბიუჯეტო შემოსავლები	ალტერნატივა 1
საბიუჯეტო ხარჯი	პირდაპირი	ხაზინა	უარყოფითი	გაზრდილია საბიუჯეტო ხარჯი	ალტერნატივა 1
<b>სოციალური</b>					
ახალი სამუშაო ადგილები	პირდაპირი	დასაქმებულები	დადებითი	შექმნილია ახალი სამუშაო ადგილები	ალტერნატივა 1
<b>გარემოზე ზეგავლენა</b>					
გავლენა ბუნებრივ გარემოზე	არაპირდაპირი	გარემო	დადებითი	შემცირებულია უარყოფითი გავლენა	ალტერნატივა 1, 2

## VII. მონიტორინგი და შეფასება

ოპტიმალურად მიჩნეული ალტერნატივის შერჩევის და შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვანია განხორციელების მონიტორინგი. მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანია, შევავსოთ, რამდენად კარგად პასუხობს იგი წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ მიზნებს. მონიტორინგისა და განხორციელების ეტაპზე ხდება მიზნების შეფასება ინდიკატორების საშუალებით.

კონკრეტული მიზანი	შეფასების სიხშირე	მონიტორინგზე პასუხისმგებელი
ტექნიკური რეგლამენტის მომზადება	პირველი წელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ტექნიკური რეგლამენტის მიღება	პირველი წელი	საქართველოს მთავრობა
შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაცია	პირველი წელი	სსიპ - აკრედიტაციის ცენტრი
შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მონიტორინგი	1 ციკლის (4 წლიანი პერიოდი) განმავლობაში სამჯერ	სსიპ - აკრედიტაციის ცენტრი
ბაზარზე განთავსებული პროდუქციის მონიტორინგი	საჭიროებისამებრ	ზედამხედველი ორგანო

### რეკომენდაცია:

ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო, რომელიც განახორციელებს ბაზარზე ზედამხედველობას, განისაზღვროს საქართველოს მთავრობის მიერ.

# დანართები

დანართი 1.

ცხრილი 8. ზედამხედველი ორგანოს ადმინისტრაციული ხარჯები

ზედამხედველი ორგანო	ერთეული	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031
ადამიანური რესურსები	5								
შრომის ანაზღაურება (ლარი)	1,800	108,000	108,000	108,000	108,000	108,000	108,000	108,000	108,000
თანამშრომელთა ტრენინგი	1	5000				5000			
მანქანა (ვალი)	2	96000							
დაზღვევა		3600	3600	3600	3600	3600	3600	3600	3600
მანქანის მომსახურება	5000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000
საწვავი (ლიტრი)	300	20880	20880	20880	20880	20880	20880	20880	20880
საწვავი (ფასი)	2.9								
კომუნიკაცია (ლარი)	25	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500
ტექნიკური აღჭურვილობა		10000				5000			
ზედამხედველობის დანახარჯი	1	5000	5000	5000	5000	5000	5000	5000	5000
საპენსიო შენატანი	4%	4,320	4,320	4,320	4,320	4,320	4,320	4,320	4,320
<b>სულ ხარჯი (ლარი)</b>		<b>264,300</b>	<b>153,300</b>	<b>153,300</b>	<b>153,300</b>	<b>163,300</b>	<b>153,300</b>	<b>153,300</b>	<b>153,300</b>
<b>საშემოსავლო გადასახადი (ლარი)</b>		<b>21,168</b>	<b>21,168</b>	<b>21,168</b>	<b>21,168</b>	<b>21,168</b>	<b>21,168</b>	<b>21,168</b>	<b>21,168</b>

ცხრილი 9: პოლიტიკის ამოცანების რანჟირება დაწყვილებული შედარებითი ანალიზით

უსაფრთხო რადიო მოწყობილობის განთავსება	ეფექტიანობა	ეკონომიკური	სოციალური	გარემოსდაცვა	განხორციელება
ეფექტიანობა	1.00	1	3	7	5
ეკონომიკური	1.00	1.00	3	7	5
სოციალური	0.33	0.33	1.00	6	5
გარემოსდაცვა	0.14	0.14	0.17	1.00	0.33
განხორციელება	0.20	0.20	0.20	3.00	1.00